ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 5 ივნისი 2004 №127 (2146) ფასი 50 თეთრი

# ეს არა და, ის შაბათი





UEFA Euro 2004 PORTUGAL

ერთი კვირის თავზე თავში, სახლში, სამსახურში და ქუჩებში მხოლოდ ფეხბურთი იქნება

# არ გენ ტი ნა!



გილერმო კორია

დიდი არგენტინელი მეჩოგნე გილერმო ვილასი პირველი რიგებიდან მშობლის სიამაყით ადევნებდა თვალს „როლან გაროსის“ ცენტრალურ კორტზე აჩოგნებულ შვილისტოლა თანამემამულეებს. 20-25 წლის წინ ის ერთადერთი არგენტინელი გახლდათ, სლემტიტულის მოპოვება რომ ჩოგანეწიფებოდა, ჯელმა გაუჩოემა კი მის მიერ დადებულ პირველ აგურზე ზედ პარიზულ თიხაზე სახლი წამოჭიმეს.

გასტონ გაუდიო და გილერმო კორია (სახელი ხომ არ გეცნობათ?) საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში არიან. საჩოგბურთო ისტორია ვერ იხსენებს არგენტინულ სლემფინალს იმიტომ, რომ არც არასდროს შემდგარა. ფინალამდე კორიამ ერთადერთ არაარგენტინელ ნახევარფინალისტს ტიმ ჰენმანს მოუგო. ჰენმანს ფინალი მშობლიურ „უიმბლდონზე“ არ უნახავს და ჯიშით მობალახე უცხო თიხაზე რას გახდებოდა?! პირველი სეტი 6:3 მოუგო კორიას, მერე კი 4:6, 0:6, 5:7 წააგო და ჩოგანიც არგენტინელს მიაბარა.

მეორე ნახევარფინალი კი წმინდა ჯიშის არგენტინული იყო და აქ ფავორიტმა დავიდ ნალბანდიანმა გრუზა თმის ბეწვიც ვერ შეუტოკა საერთოდ განუთესავ გასტონ გაუდიოს – 6:3, 7:6, 6:0 ამ უკანასნელის სასარგებლოდ და სასახელოდ.

შევიძლია, დავი...ფიცოთ, კვირადღეს არგენტინელი ბოლო 25 წლიწადში პირველად მოიგებს სლემტურნირს.

# დარჩება ეს კაცი კმაყოფილი

The Finals



ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია პლეი ოფის ფინალისთვის ემზადება, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ მორიგი ჩემპიონობისთვის. ფილ ჯექსონი და მისი რაზმი მორიგი ალმოსავლური ლუკმის ჩასაყლაპად ემზადება. ეს ლუკმა „დეტროიტ პისტონზია“ და, მართალია, ხმამაღლა გაიძახის, არც ლუკმა ვარ და არც შაკილ ონილის ჰამბურგერიო, სანამ ამას საქმით არ დაამტკიცებს, იძახოს რამდენიც უნდა.

დიდ საქმეებს კი ჯერჯერობით მხოლოდ დასავლელები აკვარახჭინებენ, 1999 წლიდან ჩემპიონები სულ იქითა მიწის მკვიდრნი ხდებიან, აქეთებმა კი ამ ხუთ წელიწადში ერთხელაც ვერ მიიყვანეს ფინალური სერია მეშვიდე მატჩამდე, სულ 2:4 ან უფრო სამარცხვინოდაც აგებენ. ჩვენ მივიყვანთ ფინალს მეშვიდე მატჩამდეო, ამასაც ამტკიცებენ დეტროიტელები, მაგრამ ამერიკაში სულ ასე ხდება, ვილაც ბჭობდა, ფილ ჯექსონი კი ულვაშებში ილიმებოდა.

ფინალი კი ამ კვირადღეს იწყება.

# სირაძემ ტრირში ათიანში გაარტყა


დავით სირაძე დიდი ბერლინიდან პატარა ტრირში წავიდა

*ეროვნული ნაკრების კანდიდატი, 23 წლის ნახევარმცველი დავით სირაძე ისევ მეორე ბუნდესლიგელია. სირაძემ გუშინ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ტრირის „აინტრახტთან“. სირაძე ზამთაში წავიდა გერმანიაში და ბერლინის „უნიონში“ ჩაირიცხა, ბოლო ტურებში ქართველი ნახევარმცველი სტაბილურად თამაშობდა და გატანაც მოახერხა, თუმც „უნიონი“ რეგიონალლიგაში ჩაქვეითებას ვერ გადაურჩა და სირაძესაც ახალი გუნდი გაუხდა მოსაძებნი. „აინტრახტი“ ჩვენებურს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობდა, თუმც სირაძემ ერთი წლით არჩია ტრირში დარჩენა და გუშინ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე თბილისში გადმოფრინდა, თუმც წამოსვლამდე ჩვენთან საუბარიც მოასწრო*

— კმაყოფილი ვარ, ტრირელებმა, რასაც ვითხოვდი, იმის შესრულების პირობა მომცეს. ჩემსა და მათ შორის ყველა საკითხი გარკვეულია. ეგ არის, სამწლიანი კონტრაქტი სურდათ, მაგრამ მე სხვა გეგმები მაქვს, ამიტომაც მხოლოდ ერთი წლით დავთანხმდი მათთან თამაშს. ჩემი ეს მოთხოვნაც გაითვალისწინა „აინტრახტმა“ და მოლაპარაკებაც შედგა. ათნომრიანი მაისურაც გადმომცეს და, შენი იმედი გვაქვსო, მითხრეს.

— „აინტრახტის“ მწვრთნელს თუ ესაუბრე?

— პაოლო ლინცი ჩინებული პიროვნება აღმოჩნდა. გულლიად შემხვდა, ყველანაირად გვერდში დაგიდგები, შენი შესაძლებლობები ბოლომდე რომ გამოავლინოო. საერთოდ, ისე ჩანს, რომ გუნდში მეგობრული ატმოსფეროა, ეს ფეხბურთელებმაც დამიდასტურეს, შეკრული, ერთმანეთის გამტანი ხალხი ვართო. ამაზე კარგი რა უნდა იყოს, მოკლედ, ვფიქრობ, კარგ გუნდში მოვხვდი.

— გასულ სეზონში ტრირის „აინტრახტი“ მეორე ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძოდა. ასეთ გუნდში გადასვლას წარმატებად თვლი?

— ტრირელებს საახალსეზონოდ დიდი მიზნები აქვთ. გუნდში სოლიდური ინვესტიციები ჩაიდო და როგორც მითხრეს, გაძლიერებას აპირებენ. სავარაუდო ახალწვეულთა შორის ჩემი თანაგუნდელი რისტიჩიცაა — ძალზე ძლიერი ფეხბურთელია. მასთან ვმეგობრობდი „უნიონში“ და თუ გადმოიყვანენ, კარგი იქნება. ტრირში კიდევ ერთი უნიონელი პაჩინსკი დამხვდა. უმთავრესი კი ის საფეხბურთო სიტუაციაა, რაც ტრირშია. პატარა ქალაქია და ლამის ყველა „აინტრახტის“ ფანია. ტრირელი ქომაგის გამორჩეულობა პირველად მაშინ ვიგრძენი, რომელსაც მათ წინააღმდეგ ვითამაშე.

— „აინტრახტის“ გარდა რა ვარიანტები გქონდა?

„კარლსრუეში“, „ობერჰაუზენსა“ და „ნიურნბერგში“ თამაშის შანსი მქონდა.

— „ნიურნბერგი“ ხომ ბუნდესლიგელი გახდა...

— ამ კლუბის ვარიანტი არ გამოვიდა. რაღაც მიზეზები იყო. „კარლსრუეზე“ და „ობერჰაუზენზე“ გაცილებით კარგი პირობები კი ტრირელებმა შემომთავაზეს, ამიტომაც გადავწყვიტე „აინტრახტში“ გადასვლა.

— თბილისში რამდენი ხნით ბრუნდები?

— თვის ბოლომდე შვებულება მაქვს, მერე კი მოსამზადებელი ეტაპი იწყება. პროგრამას თბილისში გამომიგზავნიან, ისე კი ვიცი, რომ პირველ ეტაპზე ესპანეთში გვექნება შეკრება.

**პაატა ქვანტალიანი**

# მიხედეთ თავს!



## იყავი მართლა კლუბი: დაიმსახურე ლიცენზია

წლეულს პირველიდან რეგიონალლიგაში გავარდნილ ზესტაფონის „მეტალურგს“ სერიოზული პატრონი რომ გამოუჩნდა, ამის თაობაზე ალბათ უკვე იცით. „მეტალურგს“ საქართველოს ნაკრების სპონსორმა „ფერომ“ მოჰკიდა ხელი და...

— მომავალი ჩემპიონატისთვის უმაღლესი ლიგის ყველა კლუბმა უნდა გაიაროს ლიცენზირება, რისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაც დღესდღეობით, ვფიქრობ, ბევრ კლუბს არ შეუძლია. ჩვენ კი უახლოეს ორ თვეში საკლუბო ინფრასტრუქტურას მოვაწესრიგებთ და ფედერაციაც, იმედია, ლიცენზიასაც არ დაგვიკავებსო — გვითხრა გუშინწინ „ფეროს“ ხელმძღვანელთაგანმა ილია კოკაიამ. მისივე თქმით, „მეტალურგის“ პატრონს იმგვარი ამბიცია აქვს, რომ გუნდის არათუ რეგიონალლიგაში, პირველ ლიგაში მონაწილეობაც არ დააკმაყოფილებს. მოკლედ, რეგიონალლიგელი ზესტაფონის „მეტალურგი“ უმაღლესი ლიგისკენ მიიწევს.

კი მაგრამ, როგორო, იკითხავთ. წმინდა სპორტული ვითარების გათვალისწინებით, საუკეთესო შემთხვევაში „მეტალურგს“ უმაღლეს ლიგაში ასასვლელად ორი სეზონი დასჭირდება, სხვა გარემოებათა გამოისობით კი ზესტაფონელებს წლეულსავე შეუძლიათ უმაღლესში თამაში. ეს „სხვა გარემოებები“ კლუბების ლიცენზირებაა, რომლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაც 2007 წლიდან ყველა უმაღლესლიგელი კლუბისთვის სავალდებულო იქნება. იქამდე კი ფეხბურთის ფედერაციასა და პროფლიგას შეუძლიათ, ლიცენზირების საკითხი თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ, ანუ ფედერაციასა და პროფლიგას შეთანხმების საფუძველზე აქვთ უფლება, ულიცენზიო კლუბი უმაღლეს ლიგას წლეულსავე ჩამოაშორონ. ქართული ფეხბურთის მამებს, ასევე წლეულს, შეუძლიათ, ულიცენზიო კლუბი ფინანსურად დააჯარიმონ, სხვა სახის სასჯელი გამოუწერონ ანაც 2007 წლამდე კლუბი თავის ნებაზე მიუშვან.

დღესდღეობით ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზია ექვს უმაღლესლიგელს აქვს: „ვიტ ჯორჯიას“, „დინამოს“, „სიონს“, „თბილისს“, „დილასა“ და „ლოკომოტივს“. ლიცენზიის პატრონია ასევე პირველლიგელი „სპარტაკი“. აქვე შევნიშნოთ, რომ ულიცენზიო კლუბებს წლეულს ევროტურნირებზე თამაშის უფლება არ აქვთ. ამის გათვალისწინებით, 26 მაისს ქუთაისის „ტორპედოს“ ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი რომ მოეგო, ლიცენზიის არქონის გამო უეფას თასზე ვერ ითამაშებდაო, გვითხრა სალიცენზიო კომიტეტის მენეჯერმა ნოდარ ჩოლარიამ.

ლიცენზიის მისაღებად კლუბებმა ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტს უნდა მიმართონ და შესაბამისი საბუთები წარადგინონ.

კლუბებმა უნდა დააკმაყოფილონ ხუთი სახის კრიტერიუმი: იურიდიული, საკადრო-ადმინისტრაციული, სპორტული, ფინანსური და ინფრასტრუქტურული. ჩამოთვლილი შვიდი კლუბიდან ამ მოთხოვნებს სრულად ვერც ერთი აკმაყოფილებს, თუმც ფედერაციამ ეს კლუბები ყველაზე მოწესრიგებულებად ჩათვალა და ლიცენზიაც მიართვა.

ამ ხუთი კრიტერიუმიდან ჯერაც ულიცენზიო კლუბებს ყველაზე მეტად, ალბათ, ფინანსურის დაკმაყოფილება გაუჭირდებათ. მოთხოვნა ასეთია: კლუბს არ უნდა ჰქონდეს არც ქვეყნის ბიუჯეტის, არც ფეხბურთელის და არც სხვა პერსონალის ვალი. ულიცენზიოებს ასევე მოუწესრიგებელი აქვთ ინფრასტრუქტურა, ისინი ელემენტარული სავარჯიშო პირობების უქონლობაზე ჩივიან, რომ არაფერი ვთქვათ სავალდებულო მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე. კლუბებს იურიდიული პრობლემებიც აქვთ. მაგალითად, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში ჯერაც არ იციან, მათი უმაღლესლიგელი გუნდები ვისი საკუთრებაა და საერთოდ, არიან თუ არა რეგისტრირებულები იუსტიციის სამინისტროში...

მოკლედ, უეფას მოთხოვნით ფედერაციამ კლუბების ლიცენზირების პროცესი დაიწყო და ამით 2007 წლამდე კიდევ უფრო გააძლიერა კლუბებზე ზემოქმედების ბერკეტები. ნუ გაიკვირვებთ, მომავალ ჩემპიონატში ფედერაციისა და პროფლიგის შეთანხმების საფუძველზე უმაღლეს ლიგას რომელიმე გუნდი ულიცენზიობის მოტივით თუ ჩამოაშორეს, ასევე ულიცენზიო მეორე კლუბი კი ლიგაში დატოვეს.

**კობა ინასარიძე**

# გორში ვართ, პლაჟზე...

*გორის „დილას“ მეტოქე ინტერტოტოს გათა მაშების პირველ ეტაპზე ბულგარული „ჩერნომორეცი“ იქნება*



ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომიტეტმა. „ბურგასის ჩერნომორეცმა თავად გამოთქვა ინტერტოტოზე მონაწილეობის სურვილი. ვარნული „ჩერნო მორეს“ უარის გამო ამ ტურნირზე თამაში ფეირ პლეის პრინციპების გათვალისწინებით გამორჩეული სამი კლუბიდან — „ლოკომოტივი“, „ლიტექსი“, „ჩერნომორეცი“ — ერთ-ერთს ერგებოდა და, რადგანაც „ლოკომოტივი“ და „ლიტექსი“ ჩემპიონატის პრიზიორები გახდნენ და რანგით მაღალ, უეფას თასზე ითამაშებენ, ინტერტოტოზე ბულგარეთიდან სწორედ „ჩერნომორეცი“ იქნება.“

ჩვენ კი გეტყვით, რომ „ჩერნომორეცს“ საამსაქმოდ ამდენი ჯახირი იმად დასჭირდა, რომ წლევანდელი სეზონი ჩაუვარდა და ბულგარეთის უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

ისევე როგორც გორის „დილას“, „ჩერნომორეცსაც“ მოულოდნელი საჩუქარი ერგო: ალბათ შეხსენებაც არ გჭირდებათ, რომ „დილამ“ ბოლნისის „სიონის“ უეფას თასიდან მოკვეთით და თბილისის „ლოკომოტივის“ უარით მიიღო ინტერტოტოზე თამაშის უფლება.

მოკლედ, გორელებს არცთუ ძლიერი მეტოქე ერგოთ და შესაძლოა, მეორე ეტაპზეც გავიდნენ, სადაც მათი მოწინააღმდეგე ბელგიური „გენკი“ იქნება, მესამე ეტაპზე კი გერმანული გრანდი „დორტმუნდი“.

შეგახსენებთ, „ჩერნომორეცს“ „დილა“ 19-26 ივნისს გაეჯიბრება.

პირვენდელი მეტოქის შეცვლამ „დილას“ თავკაცი **ზურაბ ხორგუაშვილიც** გააკვირვა. მეექვსეადგილოსან „ჩერნო მორეს“ ნაცვლად მაჩანჩალა „ჩერნომორეცთან“ თამაში გორელებისთვის ინტერტოტოს საგზურივით ტკბილი სიურპრიზი აღმოჩნდა:

— რას ამბობთ?! „ჩერნო მორეზე“ იმდენი ინფორმაცია მქონდა შეგროვებული და სულ ტყუილად?! იქნებ თქვენ გეშლებათ?!

— ბულგარულმა საიტებმა ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს.

— ძალიან გამახარეთ. ასე თუ არის, მაგას რა ჯობია. ახლა უკვე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ გასვლაზე. ბულგარეთის ჩემპიონატის ბოლოადგილოსანი გადაულახავი ბარიერი არ უნდა იყოს.

— იმედია, ამ ეტაპს უპრობლემოდ გაივლით.

— ღმერთმა ქნას, ჩვენც ეგ არ გვინდა?! მეორე ეტაპზე თუ გავედით, „გენკზე“ ქუთაისის „ტორპედოს“ ჯავრი უნდა ვიყაროთ.

**კახა შალამბერიძე**

## ირლანდია

**პრემიერლიგა. XIV ტური**

შემროკი 1:2 დროჰედა
ლონგფორდი 0:2 უოტერფორდი
ბოჰემიანსი 3:0 დერი სიტი
კორკ სიტი 2:1 სენტ პატრიკსი
დუბლინი 1:3 შელბურნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვობიდან დინამოელი ვარ



# გონჩაროვი უგოლობას უკრაინელებს აბრალებს

*ოქროს მატჩის შემდეგ ბოლნისის „სიონი“ იმ ჩაძირულ გემს დაემსგავსა, რომელსაც ეკიპაჟი ტოვებს. პირველი, ვისი ტრანსფერის შესახებაც გახდა ცნობილი, ბორის გონჩაროვია. „სიონის“ მთავარმეგოლე ამიერიდან თბილისის „დინამოსთვის“ გაიტანს. ბუნებრივია, ეს მისთვის კარიერაში წინგადადგმული ნაბიჯია და აქ გასაკვირიც არაფერია, გონჩაროვი ხომ ბოლო ტურებამდე ბომბარდირთა სიის სათავეში იყო.*

*განვლილ სეზონზე და მომავალზე სასაუბროდ ფორვარდი რედაქციაში გვეწვია. თუმცა ინტერვიუმდე ერთი გვთხოვა — არც ერთი სიტყვა ოქროს მატჩის კოშმარზე, საშინლად დათრგუნული ვარო...*

— ჩავლილ სეზონს ალბათ არ ემდური...

— მართლაც წარმატებული სეზონი მქონდა. ფინიშზე ცოტა კი მოვუკელი, ისე ველარ ვთამაშობდი, როგორც ჩემპიონატის დასაწყისში, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ.

— მოვუკელიო, თქვი. მიზეზი?

— ზამთრის შვებულებისას, როდესაც ფეხბურთელთა უმეტესობა ისვენებდა, მე ორი უკრაინული შეკრება გავიარე „არსენალთან“ და „ვოლინთან“ ერთად. უკრაინული შეკრებები რაცაა, კარგად მოგეხსენებათ. მოკლედ, ძალიან გადავიღალე. ეს კი, როგორც წესი, სეზონის ბოლოს იჩენს თავს. ვატყობდი, რომ უკვე ჯანი აღარ მყოფნიდა.

— „ვოლინთან“ თითქოს კონტრაქტზე უნდა მოგეწერა ხელი და რა მოხდა?

— არ დავმალავ და, იმდენად არ მინდოდა იქ დარჩენა, რომ ფეხი ძალით ავიტკივე და უკან დავბრუნდი. ჯერ გუნდიც არ იყო გულდასაწყვეტი, მერე კი მწვრთნელი ჰყავდათ უზრდელი, მე კი ასეთ ხალხთან ვერ ვმუშაობ.

— აქ დაბრუნდი და მოულოდნელად „სიონის“ ალმასვლა დაიწყო...

— ეს პირველ რიგში იმ გუნდური სულისკვეთების დამსახურება იყო, რაც „სიონს“ ახასიათებდა. არაერთ კლუბში მითამაშია და თითქმის ყველგან იყო ჯგუფ-ჯგუფად დაყოფა და მეგობრობა. „სიონში“ ასეთი რამ არ მახსოვს, ჩვენ ერთ ოჯახად ვცხოვრობდით.

— ახლა კი ისეთი ვითარებაა, შესაძლოა, ბოლნისი უფეხბურთოდაც დარჩეს...

— საერთოდ, „სიონი“ ჩემი კარიერის ერთი ყველაზე ნათელი წერტილია. ბოლნისში ხალხი ფეხბურთით ცხოვრობს და მათი უფეხბურთოდ დატოვება ნამდვილი ტრაგედია იქნება. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ბოლომდე არ გაწირავენ და განაჩენსაც შეუმსუბუქებენ „სიონსაც“ და ბოლნისურ ფეხბურთსაც.

— „სიონი“ განვლილ სეზონში საკმაოდ უსიამოვნო სკანდალშიც გაეხვა, გულშემატკივრები „ლოკომოტივთან“ თამაშის გაყიდვაშიც ადანაშაულებდნენ ფეხბურთელებს...

— ეს მართლაც ავადმოსაგონარი მატჩი იყო. „ლოკომოტივისთვის“ რომ მოგვეგო, ოქროს მატჩი აღარ დაგვჭირდებოდა. არა მგონია, რომელიმე გულშემატკივარს ჩვენზე მეტად სდომებოდა იმ თამაშის მოგება და შემდეგ გაჩემპიონება. რას იზამ, ასეთია ფეხბურთი, საშინლად ვითამაშეთ და ვერ მოვიგეთ. გულშემატკივარი კი თუ უკმაყოფილოა, თავისი აზრი უჩნდება და ასე აგორდა ხმები თამაშის გაყიდვაზე. ასეთი რამ ყველას ემართება. „დინამომ“ ამხელა ფული დახარჯა, მაგრამ მესამე ადგილზე დარჩა. აგერ, ოქროს მატჩი ავიღოთ, შეხვედრა, რომელშიც ყველაზე კარგად უნდა გვეთამაშა, ჩავაგდეთ და არაფერი გამოგვივიდა. ვინ იტყვის, რომ ჩვენ ვიტჯორჯიელებზე ნაკლებად გვსურდა ჩემპიონობა?!

— „სიონში“ ნაკრების კანდიდატი გახდი.

— არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ მითამაშია მიუხედავად იმისა, რომ გოლებიც გამქონდა და ფორმაშიც ვიყავი. ჟირესის მადლობელი ვარ, შემამჩნია, შანსი მომცა და ახლა ამ თუნდაც პატარა შანსს მაგრად უნდა ჩავეჭიდო.

— უკვე დინამოელი ხარ. ამ კლუბში კი არაერთი პერსპექტიული და ნიჭიერი ფეხბურთელი ჩაკარგულა. არ გეშინია, რომ იგივე ბედი შენც გეწიოს?

— მე ბავშვობიდან „დინამოს“ სკოლა მაქვს გავლილი და ამ გუნდის დუბლშემადგენლობაშიც მითამაშია. ამიტომაც შიშს არ ვგრძნობ. ჯანსაღი კონკურენციის შემთხვევაში ალბათ ადგილსაც დავიმკვიდრებ გუნდში.

— კონკურენცია ალბათ სერიოზული იქნება...

— ჩემი თავის იმედი მაქვს. კონკურენციის რომ მეშინოდეს, მაშინ „დინამოში“ არ წავიდოდი. იყო სხვა მსურველი კლუბებიც.

— ესე იგი, 22 ივნისს გუნდს გერმანულ შეკრებაზეც გაჰყვები...

— ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია, ისევე, როგორც უეფას თასის გათამაშებაზე ჩემი განაცხადში შეყვანა.

— „დინამოში“ ჩემპიონობის, თასის მოპოვებისა და ბომბარდირობის მეტი შანსიც გექნება. შენ რომელს უმიზნებ?

— რაც შეიძლება მეტი გოლი უნდა გავიტანო, ჩემი საქმე ხომ ეგაა. ყველაფერი ერთად არ მოდის, ვნახოთ. სიმართლე გითხრა, არც უტიტულოდ დარჩენა მსურს.

— „დინამოში“ ალბათ უცხო გარემო არ დაგხვდება...

— შაშიაშვილთან ოთხი წელი ვთამაშობდი, კანდელაკსაც საკმაო ხანია, ვიცნობ და ვმეგობრობთ კიდეც. თუ ბურდული და სილაგაძე გუნდში დარჩებიან, ხომ კარგი, მათთანაც ვახლობლობ.

— განვლილ ეროვნულ ჩემპიონატში რომელი ფორვარდი მოგეწონა?

— დინამოელი ახალაია და ვიტჯორჯიელი გოცირიძე. მარცვალაძესაც გამოვარჩევ, ძალიან პერსპექტიული ბიჭია.

— მცველებიდან?

— ალბათ მაინც ქემოკლიძე და სილაგაძე, ისინი საქართველოში მოთამაშე მცველებში საუკეთესონი არიან.

— საუბრის დასაწყისში თქვი, რომ ზამთარში არ დაგისვენია, ახლა ამის საშუალება გაქვს. როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

— სამწუხაროდ, ახლაც ძალიან პატარა შვებულება გამომდის. „დინამო“ 9 ივნისს იკრიბება დილმის ბაზაზე. მანამდე კი მაქსიმალურად ვეცდები, შინ ვიყო, მუსიკას ვუსმინო და ვიკითხო.

**დავით ერაძე**





# გოცირიძე: კრილია, სატურნი თუ კამაზი?

**ეროვნული** ჩემპიონატის ბომბარდირი და ოქროსმედალოსანი რევაზ გოცირიძე რუსეთშია. ის მენეჯერ ივანე ჯულელთან ერთად გაფრინდა მოსკოვში. „ვიტ ჯორჯიას“ მთავარმეგოლე შეეცდება, რუსული პრემიერლიგის „კრილია სოვეტოვში“ მოეწყოს. თუ ეს საქმე არ გამოვიდა, მას „სატურნიც“ გასინჯავს. შეგახსენებთ, რომ „სატურნმა“ ამას წინათ დამკვირვებელი გამოგზავნა თბილისში რამდენიმე ვიტჯორჯიელის სანახავად.

„კრილია სოვეტოვის“ პრეზიდენტმა გერმან ტკაჩენკომ ახლახან განაცხადა, რომ გუნდს მეგოლე სჭირდება და ახლა მის ძიებაში არიან.

ჯულელს გოცირიძისთვის სათადარიგო ვარიანტიც აქვს — რუსულ პირველ ლიგაში მოთამაშე „კამაზი“. ნაბერეჟნიე ჩელნის ამ კლუბში წლეულს საკმაოდ სერიოზული ინვესტიციები ჩაიდო და მიზნად პრემიერლიგაში დაბრუნება დაუსახავთ.

თუმცა, რუსეთის ქვედა ლიგაში ბურთაობის პერსპექტივა გოცირიძეს დიდად არ ხიბლავს. ამიტომ, ბუნებრივია, ძალების მოსინჯვა უკეთეს კლუბებში ურჩევნია. მისით უკრაინული უმაღლესლიგელი კლუბებიც დაინტერესებულან — „არსენალი“ და „ჩერნომორეცი“.

**დავით ერაძე**

# დინამოში საზაფხულო გაწმენდაა

**თბილისის „დინამო“** კლუბიდან წასული ფეხბურთელების შემცვლელთა ძიებაშია. ბორის გონჩაროვის გადაბირების მერე „დინამო“ „თბილისის“ პლეიმეიკერ გოჩა ხოჯავათი დაინტერესდა. დინამოელებს „თბილისიდან“ კიდევ ორი ფეხბურთელის გადაყვანა სურთ — ზაალ ელიავასი და გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძის. ლაპარაკია სპარტაკელ კობა შალამბერიძეზეც, რომელიც შარშან „დინამო 2“-ში თამაშობდა და თან გია გეგუჩაძის აღმოჩენად ითვლება.

სავარაუდოდ, 22 ივნისს რუიტში, გერმანულ შეკრებაზე გამგზავრებისას „დინამო“ „ლოკომოტივში“ განათხოვრებულ მეკარე ზურაბ მამალაძესა და ამ კლუბის მცველ ლაშა სალუქვაძესაც წაიყვანს. რუიტული შეკრების შემდეგ კი საბოლოოდ გაირკვევა, გააფორმებს თუ არა კლუბი ამ ფეხბურთელებთან კონტრაქტს.

**დავით ერაძე**

# პატარას დიდი ოცნება

## გოჩა ხოჯავამ მანქანა მიიღო, ახლა ჯანი უნდა

*ბოლოდროინდელ ახალ ამბავთაგან ერთი ისიცაა, „თბილისისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელ გოჩა ხოჯავას „დინამო" ეპატიჟებაო. ეს ამბავი კლუბმაც და ფეხბურთელმაც არც დაადასტურეს და არც უარყვეს, რითაც ეჭვები, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაძლიერდა. არადა, „თბილისი" უეფას თასზე სათამაშოდ ემზადება და ძნელად დასაჯერებელია, წამყვანი ფიგურა დათომს.*

*ერთი სიტყვით, საქმეში გარკვევა თავად* **გოჩა ხოჯავას** *ვთხოვეთ და მერე სხვაზეც ვისაუბრეთ*



ბაჩანა კოპალიანის ფოტო

გოჩა ხოჯავა ორ მეტოქესაც უმკლავდება

— ცოტა ხნის წინ მითხრეს, „დინამოს" შენი წაყვანა უნდაო. მერე გაზეთებშიც წავიკითხე ეს ამბავი და აქედან ვიცი, რომ ასეთი ხმები არსებობს, თუმცა ჩემთან არავინ მოსულა. პირდაპირ გეუბნებით, რომ „დინამოდან" დღემდე არავინ დამკავშირებია.

— და რომ მოგმართონ „დინამოში" გადასვლის წინადადებით, დათანხმდები?

— პირობებს გააჩნია. ენახავ, რას შემომთავაზებენ და მერე ვიფიქრებ გუნდის გამოცვლაზე. მანამდე კი ამით თავს არ ვილლი.

— ესე იგი, „დინამოს" სახელი შენზე არ ჭირს?

— არა, სადაც დღევანდელზე გაცილებით უკეთეს პირობებს შემიქმნიან, იქ ვითამაშებ. სახელი არაფერ შუაშია. დღეს ფეხბურთში სხვაც ბევრია გასათვალისწინებელი.

— „თბილისში" ამ მხრივ პრობლემა არ გაქვს?

— არანაირი. რასაც ვიმსახურებ, ის მაქვს. კლუბის ხელმძღვანელობას არაფერი ეშლება, რასაც დამპირდნენ, ყველაფერი შემისრულეს. ვცდილობ, ისინი არ დავალალატო და ჩემი თამაშით დავამტკიცო, რომ ფული წყალში არ გადაუყრიათ.

— გავიგეთ, სეზონის დასრულებისთანავე ხელმძღვანელობამ მანქანით დაგასაჩუქრა...

— მართალია, მე, გიორგი ჭელიძეს და თორნიკე აფციაურს მანქანები გვაჩუქეს. ახალ სეზონში მანქანებს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს შეპირდნენ.

— ეს სეზონი როგორი იყო შენთვის?

— ბოლოს გამიჭირდა, თითქოს დავიღალეო. ჯანი აღარ მქონდა.

— რატომ?

— ეტყობა, ცუდად მომზადებული ვიყავი. ახლა უფრო სერიოზულად ვფიქრობთ ამაზე, ზაფხულში მაგარი შეკრებები გველის. თან, როგორც იცით, ახალ სეზონში 44 თამაში გვექნება და თუ კარგად არ მოვემზადეთ, გაგვიჭირდება.

— „თბილისის" მწვრთნელად გიორგი დევდარიანის დანიშვნისთანვე სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდი. ახალ მწვრთნელს შენი ფორმა არ მოეწონა?

— მაგ დროს ტრავმა არ მქონდა მოშუშებული და, ცხადია, ფორმაში არ ვიყავი. მანამდე ხომ რვა თამაში გამიცდა. დევდარიანმა დრო მომცა და მეც ნელ-ნელა აღვიდგინე დაკარგული.

— „სარბიელმა" ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში შეგიყვანა. თავად თუ თვლი, რომ საქართველოში საუკეთესო გამთამაშებელი ხარ?

— არა, მაგას ვერ ვიტყვი. ჯერ ხომ პატარა ვარ, წლები წინ მაქვს. ეს თქვენი, ჟურნალისტების საქმეა. თავს მაშინ ჩავთვლი საუკეთესოდ, როცა ნაკრებში ვითამაშებ. ეს ჩემი ოცნებაა.

— მაშინ ის გვითხარი, ვინ მიგაჩნია შენს პოზიციაზე საუკეთესოდ.

— თორნიკე აფციაური.

— ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ. რას ელი მოახლოვებული შესარჩევი ეტაპისგან?

— რა ვიცი, უიმედოდ ნაღდად არ ვარ. ოთხდღიანი შეკრება გვქონდა და ყველამ ნახა, ისრაელს 3:1 როგორ მოვუგეთ. მომავალში კი, იმედი მაქვს, უფრო სერიოზულად მოვემზადებით და კარგი შედეგები გვექნება.

— და ერთიც, „თბილისს" უეფას თასის საგზური ციდან ჩამოუვარდა...

— რასაც ვიმსახურებდით, თითქოს არაფრისგან მივიღეთ. ძალიან მიხარია, რომ უეფას თსზე ვითამაშებთ.

— როგორ ფიქრობ, რას მიაღწევს „თბილისი" უეფას თასზე?

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. გააჩნია, როგორ მოვემზადებით. ფაქტია, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. მგონი, ცუდი გუნდი არ ვართ და ვნახოთ...

**კახა ზალამბერიძე**

# თბილისიდან მოსკოვში?



## კვარაცხელიას სარიოზული ვარიანტი

**უეფას თასზე** მართლაც რომ მოხვედრილ „თბილისში" სატრანსფერო ციებ-ცხელება დაიწყო. თუმც, ახალ მოთამაშეთა შეძენასთან ერთად კლუბი მნიშვნელოვან დანაკარგსაც ვერ გადაურჩა. — „თბილისი" უკვე დატოვა ეროვნული ნაკრების წევრმა გივი კვარაცხელიამ.

კვარაცხელიასთვის გასული სეზონი მართლაც გამორჩეული იყო — მას ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა დაადგა თვალი. როგორც ჩანს, კვარაცხელიას გარჯა შეუმჩნეველი არც რუსული პრემიერლიგის კლუბებს დარჩენიათ: „რამდენიმე რუსული კლუბი მართლაც დაინტერესდა ჩემით, თანაც ერთი-ორი საკმაოდ სერიოზული. ორსამ დღეში ყველაფერი გაირკვევა. ხმები „ალანიასთან" ჩემი კონტრაქტის შესახებ გადაჭარბებულია, უბრალოდ, სხვებთან ერთად ყურადღება ოსურმა კლუბმაც მომაქცია" — გვითხრა კვარაცხელიამ.

შევიტყვეთ რომ სერიოზულ კლუბში პირველ რიგში მოსკოვის „დინამო" იგულისხმება, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში გამოცხადებულ შესვენებას შემადგენლობის გასაძლიერებლად იყენებს. ახლახან კი ისიც გაუწყეთ, რომ მოსკოვური კლუბი ვიტალი დარასელიას გადაბირებასაც ლამობს.

**დავით ერაძე**

*ელისტის „ურალანი" ფინანსურ კრიზისშია. ამის გამო კლუბს ხუთმა ფეხბურთელმა – წიკლაურმა, ოყროშიძემ, კუზმინმა, დიაკონოვმა და ჩვენებურმა ვასილ გიგიაძემ ლიგის სადისციპლინო კომიტეტში უჩივლა. ფეხბურთელები „ურალანთან" კონტრაქტის გაწყვეტას ითხოვენ*



# ვასო უხელფასო

## გიგიაძის საქმე სხვა სუდიების ხელში

ელისტური კლუბი დალხენილი არც სეზონის დაწყების წინ ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ ხუთი თვე გავიდა და ხელმძღვანელობამ ხელფასების გაცემა ვერა და ვერ მოახერხა. ამის გამო, კლუბს ფეხბურთელები რომ აუჯანყდნენ და შესაძლოა, „ურალანისგან" აღარაფერი დარჩეს.

ხუთი მომჩივანის გარდა, ელისტიდან წასვლა კიდევ რვა მოთამაშეს გადაუწყვეტია და საეჭვოა, მათ ვინმემ ხელი შეუშალოს.

— ფეხბურთელებმა რომ კლუბს უჩივლეს, გასაკვირი არაა. ჩვენთან ფინანსური მდგომარეობა კარგა ხანია, საგანგაშოა. ბევრ ურალანელს საინტერესო წინადადებებიც აქვს და, ცხადია, ისინი არ დაელოდებიან იმას, თუ როდის გადავუხდით ხელფას-პრემიებს. პირველ წრეს ნებისმიერ შემთხვევაში ჩავამთავრებთ. რა იქნება მერე, ძნელი სათქმელია — თქვა „ურალანის" სპორტულმა დირექტორმა იური შიშკოვმა.

ასე რომ, დიდი შანსია, ქართველი თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე მალე სხვა კლუბში ვიხილოთ. როგორც გავიგეთ, ვასოს რუსული ვარიანტები აქვს და ალბათ ისევ ამ ქვეყანაში გააგრძელებს კარიერას.

**კახა ზალამბერიძე**

# დარასელია და გვაზავა: კლინიკური შეკრება

**დღეს** ვლადიკავკაზის „ალანია" 12-დღიან შეკრებაზე საფრანგეთს მიემგზავრება. გუნდს ქართველი ლეგიონერებიც მიჰყვებიან, მაგრამ ისინი ცალკე, პარიზში გაჩერდებიან. ვიტალი დარასელია და ლევან გვაზავა ერთ-ერთ კლინიკაში ერთკვირიან სამკურნალო კურსს გაივლიან.

„მკურნალობის შემდეგ შეიძლება, გუნდთან ერთად მსუბუქად ვარჯიში განვაახლო. ახლა გაცილებით უკეთ ვარ" — გვითხრა დარასელიამ, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

რაც შეეხება გვაზავას, მას ფეხის ტკივილები კვლავ აწუხებს და დარასელიასგან განსხვავებით, ვარჯიშის დასაწყებად მკურნალობის შემდეგ კიდევ 12 დღე დასჭირდება.

**დავით ერაძე**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# რეჰაგელის ლიხტენშტაინური თერაპია

### საბერძნეთი

**ვადუცში**, წვიმით გაჟღენთილ „რეინპარკის" სტადიონზე გუშინწინ ბერძნებმა ლიხტენშტაინს მოუგეს. ჯუჯა სახელმწიფოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის თითქმის ყველა მონაწილე ეთამაშება, რათა ბევრი გოლი გაუტანოს და ფსიქოლოგიურად გაჯანსაღდეს.

ავდარმა ელინებს გალაღების საშუალება არ მისცა, საერთოდ კი, საბერძნეთი ახლა ისეთი შთამბეჭდავი ველარაა, როგორც შესარჩევ ციკლში იყო.

ოტო რეჰაგელის გუნდს მცირე ტრავმის გამო მთავარმეგოლე დემის ნიკოლაიდისი და ცენტრალური მცველი ნიკოს დაბიზასი აკლდა.

სტუმრებმა ანგარიში პირველ ტაიმში გახსნეს. ვასილის ცარტასის პასით „ფიორენტინას" ფორვარდმა ზისის ვრიზასმა იხეირა.

თეოდოროს ზაგორაკისს შესვენებამდე მეორის გატანაც შეეძლო, მაგრამ ახლოდან მისი დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია.

ოტო რეჰაგელმა მეორე ტაიმში შუახაზი გააძლიერა. სტელიოს გიანაკოპულოსის ნაცვლად გეორგიოს გეორგიადისი შეუშვა, ანგელოს ხარისტეასს კი შეტევაში დიმიტრის პაპადოპულოსი შეუწყვილა. შედეგად, ხარისტეასმა შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ბასინასის პასით ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# მანჩესტერში არავინ მახსოვდა ყოველდღე ბედნიერი ვიყავი

*ევროპის ელიტარულ ეროვნულ ჩემპიონატებში ქართველ ფეხბურთელთაგან უმჭექესი ფურორი გიორგი ქინქლაძემ მოახდინა — 1995-96 წლების ინგლისურ პრემიერლიგაში ქინქლაძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მასზე გულშემატკივრები ლექსებს წერდნენ და სიმღერებს მღეროდნენ, ქართველი „მეინ როუდის" ნამდვილი მეფე იყო...*

*იმ ერთი სეზონით ქინქლაძე მთელმა ევროპამ გაიცნო, იმ ერთი სეზონით ქინქლაძეზე ამბობდნენ, მალე ეს ბიჭი ევროპის საუკეთესო პლეიმეიკერი გახდებაო...*

*ეს ამბავი 8-9 წლის წინ მოხდა, „მანჩესტერ სიტიში" 22 წლის ქართველი ფეხბურთელი მივიდა და პრემიერლიგელი მცველები ჩიკორივით აბზრიალა...*

*და ვინ იყო 90-იანი წლების ყველაზე ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი? ამ კითხვაზე პასუხიც ვინძლო, ის ერთი სეზონი იყოს...*

***დავით თავართქილაძე***



ვაჟა [illegible] ფოტო

თბილისის „დინამოდან" „მანჩესტერ სიტიში" რომ გადავედი, მანჩესტერელებს სეზონისწინა შეკრება უკვე გავლილი ჰქონდათ და „სიტიში" ამხანაგური თამაშების ჩატარება ვერ მოვახერხე. გუნდთან ერთად ერთი კვირა ვივარჯიშე და პრემიერლიგაც დაიწყო.

„სიტის" მწვრთნელი მაშინ ალან ბოლი იყო. ის ძალიან თბილად და დიდი ყურადღებით მეპყრობოდა. საკითხი ასე იდგა — გაამართლებს თუ არა ახალშენაძენი? „სიტიმ" ჩემს ტრანსფერში ორი მილიონი გირვანქა გადაიხადა, რაც ამ კლუბისთვის საკმაოდ დიდი თანხა იყო.

პირველი ხუთი თვე მანჩესტერის ერთ-ერთ სასტუმროში ვცხოვრობდი. ადაპტაცია ერთობ გამიჭირდა, ინგლისურიც არ ვიცოდი და მანქანის მართვასაც ვერიდებოდი.

პირველი მატჩი შინ, „მეინ როუდზე" გვქონდა „ტოტენჰემთან". ბოლმა მარცხენა ნახევარმცველად გამაწესა. 90 წუთმა ძალიან მალე ჩაირა, თითქოს მატჩი უცბად დამთავრდა — ასეთი იყო სადებიუტო თამაშის შთაბეჭდილება. პირველი ბურთი ტედი შერინგემმა გაიტანა, ჩვენ კი უვე როსლერის გოლით გავათანაბრეთ — ნამატჩევს „სიტის" ბანაკში ყველა კმაყოფილი იყო, მათ შორის ჩემი თამაშითაც.

თუმც ისიცაა, რომ პრემიერლიგასთან შესაგუებლად დროა საჭირო. იქ ჩასულ ზოგიერთ ვარსკვლავს საამისოდ ერთი სეზონი სჭირდება. მე დაახლოებით ორი თვე დამჭირდა, რათა იქაურ ტემპს და სტილს, იქაურ ფეხბურთს შევჩვეულიყავი. ვარჯიშებიც სულ სხვა იყო — უფრო მეტი დატვირთვა და უფრო მეტი სერიოზულობაა. რაც შეეხება თანაგუნდელებს, ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, პრობლემა არავისთან შემქმნია.

მანჩესტერში ძალიან ინტენსიურ რიტმში მიწევდა მუშაობა. ალან ბოლს ორჯერადი ვარჯიშები უყვარდა, თანაც ინგლისში ძალიან გადატვირთული საფეხბურთო კალენდარია, ხანდახან კვირაში სამი თამაშის ჩატარება გვიწევდა.

ბოლი თავიდან სულ მარცხენა ნახევარმცველად მათამაშებდა. ინგლისურ პრემიერლიგაში ტიპიური გამთამაშებლები მაინცდამაინც არ უყვართ, ასეთი ფეხბურთელი ორ-სამ პრემიერლიგურ გუნდს თუ ჰყავდა. ჰოდა, ჩემს საყვარელ პოზიციაზე მე თვითონ გადავედი. „სიტის" მარცხენა მცველი ტერი ფოლანი ხშირად ერთვებოდა შეტევაში, რაც მე ცენტრისკენ გადაადგილების საშუალებას მაძლევდა. მოკლედ, თანდათან, ჩემი თამაშით მოვახერხე ის, რომ გამთამაშებლად დავმკვიდრებულიყავი გუნდში.

პირველი გოლი „ასტონ ვილას" გავუტანე — ნაილ ქუინთან კედელი გავითამაშე და შორეულ კუთხეში გავგზავნე ბურთი — ყველაფერი ეს ბოლო წუთზე მოხდა და თამაშიც 1:0 მოვიგეთ. სეზონის ამ მონაკვეთში წარმატებულად ვითამაშეთ — ექვსი მატჩიდან ოთხი მოვიგეთ და ორიც ფრე იყო.

უკვე ყველაფერს გავუშინაურდი. საკუთარი თავის გარდა არავინ მახსოვდა, თბილისშიც თითქმის არ ვრეკავდი, დრო არაფრისთვის არ მრჩებოდა.

პოპულარობა მსიამოვნებდა, მაგრამ ხშირად უხერხულადაც ვგრძნობდი თავს. მაგალითად, როცა გულშემატკივარი უცბად გამოექანებოდა ჩემკენ და ფეხზე მაკოცებდა. მსგავს სიტუაციებში მე თვითონ მრცხვენოდა იმის, რაც ხდებოდა.

მასმედია ინგლისში ძალიან დიდ როლს თამაშობს, საგაზეთო ჟურნალისტიკა იქ ძალიან ძლიერი და გავლენიანია. ჟურნალისტებთან ძირითადად „სიტის" ბაზაზე ან სტადიონზე მიწევდა ურთიერთობა. მეკითხებოდნენ საქართველოზე, „დინამოზე", როგორ მომეწონა აქაურობა და თამაშებსაც ვარჩევდით. თითქმის ყველა ინგლისელი ჟურნალისტი ამა თუ იმ კლუბის გულშემატკივარია და ასეთ რამეს არც ერთი ჟურნალისტი არ მალავს, არც იმას, თუ რომელ ფეხბურთელს ეთაყვანებიან, მაგრამ შეღავათს არავინ არავის არ მისცემს, რასაც იმსახურებ, შენზე მხოლოდ იმას დაწერენ.





საუკეთესო გოლი „საუთჰემპტონს" კი გავუტანე, მაგრამ ჩემი საუკეთესო მატჩი „ნიუკასლთან" ვითამაშე. შეხვედრა 3:3 დამთავრდა, სამჯერვე ჩვენ დავწინაურდით, მაგრამ ამდენჯერვე გაგვითანაბრეს. „ნიუკასლში" მაშინ დავიდ ჟინოლა, ფაუსტინიო ასპრილია, ლეს ფერდინანდი, იორგ ალბერტსი თამაშობდნენ, მწვრთნელი კი კევინ კიგანი გახლდათ. იმ სეზონში „ნიუკასლი" პრემიერლიგაში მეორე ადგილზე გავიდა.

ბოლი ისეთი მწვრთნელი იყო, შეტევა უყვარდა. თავდასხმაში ქუინი და როსლერი იყვნენ, რომლებიც თავით მაგრამ თამაშობდნენ და ხშირი იყო ჩაწოდებები, მაგრამ ეს ფორვარდები ბევრ საგოლე მომენტს აცუდებდნენ. ჩვენს მეკარე აიკე იმელს კი მხედველობა არ უვარგოდა, ცოტა ელამიც იყო.

„სიტის" პრემიერლიგიდან გავარდნა კი ყველაზე უფრო ცუდმა სტარტმა განაპირობა — პირველ რვა მატჩში მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ, არადა, ორი რომ აგვეღო, არ გავვარდებოდით — ბოლოდან მესამე, მეთვრამეტე ადგილზე გავედით და მეჩვიდეტე ადგილზე გასულმა გუნდმა ბურთების უკეთესი სხვაობით გადაგვისწრო.

მიუხედავად ამისა, იმ სეზონში მანჩესტერში გატარებული ყველა დღე ჩემთვის კარგად მოსაგონარია, ბედნიერი ვიყავი და მეტს იმ დროისთვის ვერც ვერაფერს ვინატრებდი. ინგლისში კარგ ფეხბურთელს სათანადოდ აფასებენ, იქ მართლაც განსაკუთრებულად იციან ფეხბურთელის პატივისცემა.

პრემიერლიგიდან გავარდნა ძალიან გულდასაწყვეტი იყო, რადგან „სიტი" განსაკუთრებული გუნდი გახლდათ. თამაშის შემდეგ „სიტის" ფეხბურთელები ბევრ ლუდს მიირთმევდნენ, მე კი არ ვსვამდი. ჰოდა, ერთხელაც გუნდის კაპიტანი კიტ კიოლი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რატომ არ სვამ, გინდა, რომ ხვალინდელ ვარჯიშზე ჩვენზე უკეთ გამოიყურებოდე, ჩვენ ერთნი ვართ და ყველაფერში ერთად უნდა ვიყოთო. მეც სხვა ალარაფერი დამრჩენოდა და ისეთ დღეში ჩავვარდი, ცნობილ მულტფილმში წრუწუნას ძალით რომ ასხამენ ღვინოს. ერთი სიტყვით, „სიტი" მართლაც ერთ მუშტად შეკრული გუნდი იყო იმ სეზონში, ძალიან მეგობრული, ლუდის სმას კი მაინც ვერ მიმაჩვიეს — თვითონ საღამოს რვა საათზე რომ დაიწყებდნენ, შუაღამისას ორ საათამდე მიირთმევდნენ ლუდს.







ეროვნული ბიბლიოთეკა





# რა უნდა ვიერის?!

## დი ვაიოს ინტერში ვერონმა ჩაასწრო

არგენტინელი ვარსკვლავი ხუან სებასტიან ვერონი მომავალი სეზონიდან „ინტერის“ შავ-ლურჯი მაისურით ითამაშებს. მოგეხსენებათ, ვერონი „ჩელსიში“ იყო, თუმცა იყო კი არა, იურიდიულად კვლავაც „ჩელსის“ საკუთრებად დარჩება, რადგან მილანში მხოლოდ ერთი წლით ჩადის და ისიც გაქირავებულის სტატუსით.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ ვერონმა ინგლისურ ფეხბურთს — „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“ — გემო ვერ გაუგო და ქირით თუ ისე, იმ ქვეყანას უბრუნდება, სადაც უკეთ ჰქონდა საქმე აწყობილი. იტალიაში არგენტინელი თამაშობდა „სამპდორიასა“ და „ლაციოში“, საიდანაც 30 მილიონ გირვანქად მანჩესტერში გადაბარგდა.

გასულ სეზონში, „ჩელსიში“, ვერონს არც თამაში გამოუვიდა და ტრავმებმაც სერიოზულად დარია ხელი, ხოლო როგორც კი ლონდონის გუნდში პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ მივიდა, გაირკვა, რომ ვერონი ლონდონელებს აღარ სჭირდებათ.

და არ არის გამორიცხული, ვერონს „შავ-ლურჯთა“ ბანაკში აქამდე „შავ-თეთრი“ ანუ ტურინის „იუვენტუსის“ თავდამსხმელი მარკო დი ვაიო შეუერთდეს.

„თუ ტურინიდან წასასვლელი შევიქნები, მხოლოდ უმაღლესი რანგის გუნდში გადავალ. ამწუთას ასეთებად „მილანი“ და „ინტერი“ მესახება — განაცხადა თავდამსხმელმა — ადრე დარწმუნებული ვიყავი, რომ ევრო 2004-ის შემდეგ ისევ „იუვენტუსთან“ გავახანგრძლივებდი თანამშრომლობას, რადგან ნაკრებში გამოძახებამდე ორი დღით ადრე გენერალურმა დირექტორმა, ლუჩანო მოჯიმ მიხმო და მითხრა, რომ გუნდის სამომავლო გეგმის ნაწილი ვიყავი, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ვითარება შეიცვალა. მგონი, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, კრისტიან ვიერის რა სურს. თუ ის ჩემს საპირისპიროდ, „ინტერიდან“ „იუვეში“ გადასვლას ინდომებს, მაშინ ყველაფერი გაირკვევა“.

და მართლაც, როგორ ამბობენ, „ლაციოს“ სკოლის აღზრდილი სატრანსფერო იმ კომბინაციის ნაწილი გახლავთ, რომლის შედეგადაც „ინტერისა“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელი, კრისტიან ვიერი ტურინს უნდა დაუბრუნდეს.

„თუ ინტერელი გავხდები, ისევე, როგორც „პარმაში“ თამაშის დროს, ახლაც ადრიანოსთან გამოვნახავ საერთო ენას. თუ ჩვენს მონაცემებს გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ მე და ადრიანო იდეალური პარტნიორები ვართ, მის მხარდამხარ სამი თვე გავატარე და ეს დრო სრულიად საკმარისი გამოდგა მისი ნიჭი თვალნათლივ რომ დამენახა — დასძინა დი ვაიომ, რომელსაც გულით სწადია მთელი ეს გადადიგადმოდი მალე დასრულდეს — ნამდვილად არ მინდა ჭორები ვიერის „იუვეში“ და სანაცვლოდ ჩემი „ინტერში“ გადასვლის შესახებ ევროპის ჩემპიონატის დღეებშიც მესმოდეს. თუ რამე მოსახდენია, ჩემპიონატამდე დარჩენილ რამდენიმე დღეში უნდა მოხდეს, თუ არა და თავს ძველებურად „იუვენტუსის“ მნიშვნელოვან ნაწილად ჩავთვლი“.

აქვე დავძინოთ, რომ ვიერის „ინტერიდან“ გადაბირება „იუვენტუსს“ მხოლოდ დი ვაიოდ არ უჯდება. წინასწარი მონაცემების თანახმად, ტურინელები მის გარდა მილანში აგზავნიან მეკარე ფაბიან კარინისაც და ფულად ამ ყველაფერს სადღაც 9-10 მილიონ ევროს ამატებენ.

და რას ამბობს ამ ყველაფერზე „ინტერის“ მეპატრონე მასიმო მორატი?

„ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თვითონ ვიერის რა უნდა. საერთოდ, ამ ფეხბურთელით მხოლოდ „იუვენტუსი“ კი არა, ბევრი კლუბია დაინტერესებული. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით სიტუაციას ვაკვირდებით, ხოლო შეცვლით არაფერი შეცვლილა. საერთოდაც, ჩემზე მეტი ვიერის გაყიდვა-დატოვებასთან დაკავშირებით კლუბის პრეზიდენტმა, ჯაჩინტო ფაკეტიმ იცის, თუმცა მგონი ისიც იმას გეტყვით, რომ „ინტერს“ მომავალშიც ვიერისთან ერთად თამაში და გამარჯვება ურჩევნია“.



ხუან სებასტიან ვერონი

ახლა კი „ინტერის“ და ჰოლანდიელი ნახევარმცველის, ედგარ დავიდსის ურთიერთობებზე ვთქვათ: ყოფილი იუვენტუსელი და დღეს ბარსელონელი, როგორც ჩანს, „შავ-ლურჯ“ მაისურას არ ჩაიცვამს, რადგან კატალონიაში გადაუწყვეტია დარჩენა. თითქოს დავიდსისთვის „ბარსას“ სამ წელიწადში დაახლოებით 11 მილიონი ევრო შეუთავაზებია. მეორე მხრივ, ლონდონურ „ტოტენჰემ ჰოთსპურზეც“ თქვეს რაღაც. მოკლედ, ყველაფერი „ინტერის“ გარდა. არადა, მილანელები მოწადინებულნი იყვნენ.

და ბოლოს „ლეჩეს“ 21 წლის ნახევარმცველი კრისტიან ლედესმაც ვახსენოთ. ის, თითქოს, ახლავე უნდა გადაბარგებულიყო მილანურ გუნდში, მაგრამ, როგორც გაირკვა, კიდევ ერთ წელიწადს დარჩება იქ, სადაც დღესაა. ლედესმა „ინტერს“ „ლეჩესთვის“ მიქირავებული ჰყავს.

**პაპუნა ქედია**

# ბურთების დაუმორჩილებლობა



ანჯელო პერუცი და ჯანლუიჯი ბუფონი: ეს ბურთი ძნელი დასაჭერია

**მოდით,** ვილაპარაკოთ ბურთზე. უფრო სწორად, მოვისმინოთ, რას ამბობენ ამაზე პროფესიონალები, კერძოდ, იტალიელები. „ადურინის“ ანუ იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების მეკარემ, მარკო ამელიამ უკვე საჯაროდ დაიწუნა ბურთი, რომლითაც მათი ასაკის ფეხბურთელთა ჩემპიონატი ჩატარდა, ახლა კი ახალგაზრდა კოლეგას მხარი დიდმა მოთამაშეებმა აუბეს. მოვუსმინოთ, მაგალითად, „სკუადრა ადურას“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონს:

„ბურთი, რომლითაც ევროპის ჩემპიონატზე უნდა გვათამაშონ, გაცილებით უარესია, ვიდრე ის, რომლითაც ორი წლის წინ მსოფლიოს პირველობა მოვიგეთ. ყველაფერთან ერთად კი უცნაური ფერისაა, რატომღაც ნაცრისფერია. ჩვეულებრივი, ტრადიციული შავ-თეთრი ბურთით რომ გვეთამაშა, გაცილებით სწორი და გასაგები იქნებოდა. უცნაური ბურთით „იუვენტუსში“ ვვარჯიშობთ ხოლმე, იქით დაფრინავს, საითაც მოეპრიანება“.

იტალიის ნაკრების სათადარიგო გოლკიპერმა, ანჯელო პერუციმ — ყოფილმა იუვენტუსელმა — ასევე გამოთქვა თავისი ეჭვი და შიში.

„ბურთებს სულ ამსუბუქებენ და ამსუბუქებენ. რამდენადაც ცნობილია, მწარმოებლები ასე იმიტომ იქცევიან, რომ გოლები გახშირდეს და ფეხბურთი მეტად თვალსასეირო გახდეს — განმარტა „ლაციოს“ კარის მცველმა — და დასძინა — მაგრამ ეს ყველაფერი მეკარეების შეზღუდვაა. დღევანდელი ბურთები გზაში მიმართულებას იცვლიან და შანსი იმისა, რომ ჩვენ, მეკარეები შეიძლება გავსულელდეთ და გავპამპულდეთ, იზრდება“.

თუმცა ყველაზე საინტერესო ის გამოდგა, რომ ბურთით უკმაყოფილება მხოლოდ ძელებს შორის ჩამდგარმა ადამიანებმა როდი გამოთქვეს.

„ვიცი, რომ არის ხალხი, რომელიც ავრცელებს ხმას, თითქოს ახალი ბურთები ჩვენთვის, თავდამსხმელებისთვისაა უფრო მოსახერხებელი, მაგრამ ეს სიცრუეა. ეს ბურთები ჩვენი განზრახვის შესაბამისად არ დახტის“ — თქვა ფრანჩესკო ტოტიმ.

**პაპუნა ქედია**



# ფრეი ბაიერნში იფრენს?

„პარმას“ მეკარე სებასტიან ფრეიმ შესაძლოა, ოლივერ კანის ადგილი დაიკავოს — საუბარია ადგილზე მიუნხენის „ბაიერნის“ კარის ძელთა შორის. საქმე ის გახლავთ, რომ კანზე ბოლოხანს ჭორები დაირხა, რომ „ბაიერნიდან“ მიდის, ასე რომ, კლუბს შემცვლელი სჭირდება. ხოლო ასეთად როგორც მოგახსენეთ, ფრეი დაასახელეს.

სებასტიან ფრეი 24 წლისაა და მიუნხენის კლუბთან ადრეც დაუკავშირებიათ. სხვათა შორის, ამ გოლკიპერის გვარს ახლახან „არსენალთან“ და „ჩელსისთან“ ერთადაც ახსენებდნენ, ხოლო „პარმა“, მოგეხსენებათ, გაკოტრებულია და მოსალოდნელია, რომ ფეხბურთელებს გაჰყიდის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბაიერნს“ თვალი „შტუტგარტის“ მეკარეზე, ტიმო ჰილდებრანდზეც უჭირავს. სებასტიან ფრეი კი აღიარებულია იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერად და მასზე არა მხოლოდ საზღვარგარეთ, არამედ იტალიაშიც ნადირობენ. კერძოდ, მისი გადაბირებით მილანის „ინტერია“ დაინტერესებული.

ადრე უთქვამთ, ფრეის შეძენით „რეალი“ და „ბარსელონაც“ არიან დაინტერესებულნიო.

**პაპუნა ქედია**

# ფრანგი მამალი ინგლისური დეზებით

გუშინ გაცხადდა, რომ ევრო 2004-ის შემდეგ ჟაკ სანტინი „ტოტენჰემს" ჩაიბარებს.

„მიხარია, რომ იგი დაგვთანხმდა — განაცხადა კლუბის თავმჯდომარე დენიელ ლევიმ, რომელიც ახალ მწვრთნელს კარგა ხანს ეძებდა — სანტინი ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იყო, რადგან ცოდნა და გამოცდილება საკმაოდ აქვს. ჩვენი მიზანიც სწორედ ის გახლდათ, რომ მაღალი დონის მწვრთნელი მოგვენახა. გუნდის ქომაგებმა დიდხანს იცადეს, ახლა კი შეგვიძლია, მომავალს იმედით შევხედოთ" — დასძინა ლევიმ.

თავად ფრანგიც, რა თქმა უნდა, კმაყოფილია: „მე ამბიციური კაცი ვარ და ყოველთვის მსურდა პრემიერლიგის რომელიმე გუნდში მუშაობა. შევეცდები, „ტოტენჰემი" ინგლისის ელიტაში დავაბრუნო, თუმც ჯერ ნაკრებში ვარ და მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე ვფიქრობ".

ჟაკ სანტინი ეროვნული გუნდის თავკაცად 2002 წლის ივლისში დანიშნეს. მან როჟე ლემერი მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ შეცვალა. დანიშვნის დღიდან „სამფეროვნებმა" 23 მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგეს.

„ტოტენჰემ ჰოთსპურს" გასული სეზონის დასაწყისში გლენ ჰოდლი წვრთნიდა, მაგრამ ზედიზედ რამდენიმე მარცხის გამო ჰოდლის ადგილი დევიდ პლიტმა დაიკავა.

„მამლები" ფაქტობრივად, პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძოდნენ და საბოლოოდ მე-14 საფეხურზე გავიდნენ.

ლონდონური გუნდის სავარაუდო თავკაცად კარლუშ კეიროშსა და კლაუდიო რანიერის მოიაზრებდნენ. კეიროში მადრიდიდან „მანჩესტერში" დაბრუნდა, რანიერიმ კი „ვალენსიას" მიაშურა.



ჟაკ სანტინი

ჟაკ სანტინი ნაკრებამდე „ლიონში" იყო და 2002-ში ფრანგული ოქრო მოიგო. „სენტ ეტიენის" ყოფილი მოთამაშე ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონია.

ახლა ლონდონში ორი ფრანგი მწვრთნელი იქნება, არსენ ვენგერი და ჟაკ სანტინი.

სანტინის გუნდში დარენ ანდერტონი, კრისტიან ციგე და გუსტავო პოიეტი აღარ დახვდება — ისინი კლუბმა გაუშვა.

*ჩემპიონთა თასის მფლობელ „პორტუს" ახალი მწვრთნელი ჰყავს — იტალიელმა ლუიჯი დელ ნერიმ პორტუგალიელებთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი*

# დელ ნერიმ პორტუ დაადასტურა



**თუ გახსოვთ,** იტალიელი ტაქტიკოსის „პორტუში" გადასვლაზე პირველი ხმები ერთი ხნის წინ დაირხა და როგორც გუშინ დადასტურდა, მათ საფუძველი ჰქონია.

„ვადასტურებ — განაცხადა დელ ნერიმ — მომდევნო კვირაში პორტუგალიაში უნდა ჩავიდე და ეს ძალიან მახარებს".

შეგახსენებთ ასევე რომ დელ ნერი ცნობილი გახდა ვერონის „კიევოს" სერია A-მდე აყვანით და იქ საფუძვლიანად დამკვიდრებით, ხოლო „პორტუს", რომელიც შარშან უეფას თასს ფლობდა, ახლა კი, როგორც ვთქვით, ლიგის გამარჯვებულია, ამ დღეებში ნაქები ჟოზე მაურინიუ წაუყვიდა ლონდონის „ჩელსიში".

„ეს ჩემთვის კარიერის დიდებული გაგრძელებაა — განაგრძო დელ ნერიმ — მწვრთნელისთვის ყოველთვის სჯობს გადავიდეს კლუბში, რომელიც იგებს, ვიდრე კლუბში, რომელიც მარცხდება. კითხვაზე, წავიყვან თუ არა პორტუგალიაში „კიევოს" რომელიმე ფეხბურთელს, დღეს ვერ გიპასუხებთ, რადგან უპირველეს ყოვლისა, გარემოს და ინფრასტრუქტურას უნდა გავეცნო. იქ, პორტუგალიაში ხომ განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ. პორტუგალიელები უფრო მეტ ყურადღებას ტექნიკას აქცევენ და ბრაზილიელებს ჰგვანან".

დელ ნერიმ კარიერა „ტერამოში" 1990 წელს დაიწყო. შემდეგ მან მოიარა „რავენა", „ნოვარა", „ნოჩერინა", „ტერნანა" და „ემპოლი".

**პაპუნა ძედია**

# სმითმა აგური გამოიწვია



იორკშირის საგრაფოს სოფელ ტორპში „ლიდსის" გაავებულმა ფანებმა მავან ენდი იტონის საცხოვრებელს ქვები და აგურები დაუშინეს. სახლის პატრონს, თავად „ლიდსის" გაცვეთილ ქომაგს, ეზო-კარი ახალგალამაზებული ჰქონდა და აგრესორები რომ დაინახა, გაოგნდა, მაგრამ მტრობის მიზეზს მალევე მიხვდა — ფანებს სახლი ალან სმიტისა ეგონათ, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა და გულშემატკივრების რისხვა გამოიწვია.

იტონის საცხოვრებელს იორკშირული კლუბის ემბლემა ამშვენებს და ქომაგებიც ამან შეაცდინა. ადრეც რამდენჯერმე უნახავს პატრონს ეზოში გადასული ბიჭბუჭები, რომლებსაც სმიტთან სურათის გადაღება ეწადათ, მაგრამ მაშინ ფეხბურთელი „ლიდსისა" იყო და მისამართარეულ გულშემატკივრების დანახვაზე იცინოდა. „ალანის წასვლის შემდეგ კოშმარი დაიწყო. ვფიქრობ, რომ იგი ასეთ მოქცევას არ იმსახურებს".

„ლიდსის" ფანკლუბთა პრეზიდენტი რეი ფელი: „ძალიან გვეწყინა სმიტის გადასვლა „მანჩესტერში", მაგრამ ქომაგების მსგავსი გამოხტომები გუნდს შეურაცხყოფს".

**ვაჟა ხუციშვილი**

# მოწიეთ, დალიეთ და ითამაშეთ ფეხბურთი



მარიო ბასლერი

**„რეგენსბურგის"** ფეხბურთელებს გასახდელში სიგარეტის მოწევა შეუძლიათ — იხუმრა „ბილდმა", რაკი მარიო ბასლერი ამ გუნდის მწვრთნელად დანიშნეს.

გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავყოფილი ყატარიდან შინ დაბრუნდა და მეორე ბუნდესლიგიდან რეგიონალლიგაში გავარდნილი „რეგენსბურგი" ჩაიბარა. მას სამწვრთნელო ლიცენზია არ აქვს, ამიტომ ოფიციალურად მენეჯერი იქნება. სუპერმარიომ ფეხბურთელობისას პირველი პროფესიული კონტრაქტი 23 წლისამ გააფორმა. მანამდე ბუნდესლიგელი მწვრთნელები ბასლერის აყვანას უჟმური ხასიათისა და ალკოჰოლის სიყვარულის გამო უარობდნენ.

„ვერდერის" მაშინდელმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა კი ახალგაზრდა ფეხბურთელის ხუშტურებზე თვალი დახუჭა და გუნდში იახლა. სუპერმარიო გაზეთების პირველი გვერდების გმირი იყო, გამუდმებით კამათობდა მწვრთნელებთან, მაგრამ „ვერდერის", „კაიზერსლაუტერნისა" და „ბაიერნის" შემადგენლობაში ჩემპიონი გახდა.

ნაკრების თავკაცი ბერტი ფოგთსი ბასლერს არ სწყალობდა. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რამდენჯერმე შეცვლაზე ათამაშა.

შარშან სუპერმარიო „კაიზერსლაუტერნს" ბუნდესლიგაში დარჩენაში დაეხმარა, თუმც მწვრთნელ ერიკ გერეტსთან იჩხუბა და გუნდიდან გუდა-ნაბადი აიკრა. ყატარში თითქმის წელი გაატარა, მაგრამ მსმელ-მწეველ ფეხბურთელს ისლამური კანონებით ცხოვრება გაუჭირდა. გერმანიაში თამაშისას ხომ იგი გასახდელში ეწეოდა და ლუდსაც წრუპავდა.

# ამას ვინ არ მისცემდა!

*ათწლეულის უსექსუალურეს ქალად ლონდონის „ტოტენჰემის" ფეხბურთელის, ჯეიმი რედნაპის ცოლი, ლუიზა დერნაპი აღიარეს. აღიარება მას მამაკაცთა ჟურნალ **FHM**-ის გამოკითხვამ მოუტანა. ლუიზამ პამელა ანდერსონის, კარმენ ელექტრას და კაილი მინოუგის კალიბრის სექსბომბებს აჯობა.*

*ჟურნალი გამოკითხვას 1994 წლიდან ატარებს, რომელშიც რედნაპის ტურფა ყოველთვის მონაწილეობდა. შარშან წლის მონაცემებით მე-17 იყო, მაგრამ ათი წლის ჯამში სხვებზე მეტი ხმა დააგროვა. საინტერესოა, როგორ იცლის ლუიზას შემხედვარე ჯეიმი ფეხბურთის სათამაშოდ.*



## ჰოლანდია

**გადასასვლელი პლეი ოფი**

**A ჯგუფი. VI ტური**

ჰელმონდი 0:3 ვენლო

ვიტესი 2:0 სპარტა

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტესი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:4 | 14 |
| ვენლო | 6 | 2 | 2 | 2 | 11:9 | 8 |
| სპარტა | 6 | 1 | 3 | 2 | 8:10 | 6 |
| ჰელმონდი | 6 | 0 | 3 | 3 | 6:16 | 3 |

*„ვიტესი" ახალი სეზონიდან ითამაშებს I დივიზიონში*

**B ჯგუფი. VI ტური**

ექსელსიორი 2:3 გრააფსხაპი

ვოლენდამი 2:2 ჰერაკლესი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრააფსხაპი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| ჰერაკლესი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:6 | 11 |
| ექსელსიორი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| ვოლენდამი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:14 | 1 |

*„გრააფსხაპი" ახალი სეზონიდან ითამაშებს I დივიზიონში*

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. VII ტური**

ჰაკა — ტპ 47 4:2; ალიანსი — ჰიკ 1:0; ლაჰტი — ჰამენლინა 1:0; კტპ — ინტერი 0:1; როვანიემი — მიუპა 1:2; ტურკუ — ტამპერე 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალიანსი | 7 | 5 | 0 | 2 | 9:4 | 15 |
| ტამპერე | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| ჰაკა | 7 | 3 | 3 | 1 | 10:5 | 12 |
| კტპ | 7 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 11 |
| მიუპა | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| ჰიკ | 7 | 2 | 4 | 1 | 13:8 | 10 |
| ტურკუ | 7 | 3 | 1 | 3 | 9:8 | 10 |
| ლაჰტი | 7 | 2 | 4 | 1 | 7:7 | 10 |
| ინტერი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| ჯაზი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:11 | 7 |
| ტპ 47 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| ჰამენლინა | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | 5 |
| იარო | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | 4 |
| როვანიემი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:16 | 4 |

## მექსიკა

**კლაუსურა. პლეი ოფი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

კრუზ ასული 0:0 უნამი

# ევრო-2004. C ჯგუფი: იტალია, დანია, შვედეთი ბულგარეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა








**განრიგი**

14 ივნისი
ლისაბონი. „ჟოზე ალვალადე". 23.45
შვედეთი – ბულგარეთი

18 ივნისი
პორტუ. „დრაგაუ". 23.45
იტალია – შვედეთი

22 ივნისი
პორტუ. „ბესა". 23.45
დანია – შვედეთი

## ერთხელ შვედებმა სიკვდილსაც აჯობეს



ვეტერანთა და ახალგაზრდა ტალანტთა ნაზავი — ეს დღევანდელი შვედეთის ნაკრების სახეა. ის აღარ არის ისეთი ღონიერი, როგორიც 90-იან წლებში იყო, მაგრამ დაბეჩავებულიაო, ვერც ამას ვიტყვით.

ზუსტად ათი წელი გავიდა მას მერე, რაც შვედებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილს მიაღწიეს. მაგრამ იმ მუნდიალის მერე საუკეთესოები გამოაკლდა, უპირველესად კი თომას ბროლინი და შვედებმა იმ შედეგთან მიახლოვება მომდევნო წლებში ვეღარ შეძლეს. ინგლისის ევროპის ჩემპიონატმა შვედთა გარეშე ჩაიარა, ისინი ორი წლის მერე საფრანგეთის მუნდიალზეც ვერ მოხვდნენ, ბოლო ევროპის ჩემპიონატზე კი ჯგუფში ერთი ფრით და ორი წაგებით ბოლო ადგილზე გავიდნენ.

მერე ისევ აღმავლობის ეტაპი დაიწყო. კორეა-იაპონიის მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე შვედებს ერთი თამაშიც არ წაუგიათ. აზიაში კი სიკვდილის ჯგუფიდან გააღწიეს არგენტინის ჩატოვების ხარჯზე.

ამ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში შვედეთის ნაკრებმა ოდენ სამი გოლი გაუშვა, რაც უდავოდ დიდებული მაჩვენებელია, მაგრამ მეორე მხრივ, თანაჯგუფელებიც არ ჰყავდა მაინცდამაინც ძლიერები — ლატვია, პოლონეთი, უნგრეთი.

და მაინც, არცთუ ძლიერ მეტოქეთა ყოლის მიუხედავად, სამად-სამი გოლის გაშვების უპირველესი მიზეზი თავად შვედთა დაცვაში უნდა ვეძიოთ. ნაკრების თანამწვრთნელებს, ტომი სოდერბერგს და ლარს ლაგერბეკს ძალიან გაუმართლათ — ცენტრალური მცველის პოზიციაზე სამი ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელი ეგულებათ: „ასტონ ვილას" ოლოფ მელბერგი, სელტიკელი იოჰან მიალბი და ბრონდბიუელი ანდრეას იაკობსენი. ამათ დავუმატოთ იურგორდენელი მეკარე ანდრეას ისაკსონიც, რომელსაც პორტუგალიაში უთუოდ მიაშტერდება სელექციონერთა და აგენტთა ბევრი წყვილი ხარბი თვალი.

ერთი საინტერესო გარემოებაც: 50-იანი წლების მერე შვედთა ნახევარმცველები მეტწილად დაცვით ფუნქციებს ასრულებდნენ, ახლა კი ნაკრებს ერთბაშად ორი შემტევი ნახევარმცველი ჰყავს — ფრედი ლიუნგბერგი და კიმ კალსტრიომი.

ჯგუფში კი შვედთა მეტოქეები იტალია, დანია და ბულგარეთი არიან.



## მწვრთნელები
### ერთი ფიქრობს, მეორე ლაპარაკობს

თანამედროვე ფეხბურთში წარმატებული სამწვრთნელო დუეტები დიდი იშვიათობაა და ტომი სოდერბერგისა და ლარს ლაგერბეკის ასეთი შედეგიანი თანამშრომლობა უფრო გამონაკლისია, ვიდრე კანონზომიერი მოვლენა.

ამ დუეტს შვედეთის ნაკრები უკვე მესამედ გაყავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ორი წლის წინ კორეა-იაპონიაში სიკვდილის ჯგუფიდანაც გააღწიეს. თუმცა სოდერბერგმა და ლაგერბეკმა ვერ გაიმეორეს ან გააუმჯობესეს მათი წინამორბედის, ტომი სვენსონის მიღწევა — მესამე ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ეს ევროპის ჩემპიონატი წყვილისთვის ბოლო შანსია — ტომი სოდერბერგმა თქვა, პორტუგალიიდან მობრუნებული ნაკრებიდან მივდივარო.

სოდერბერგი თავის დროზე ტანვარჯიშის მასწავლებელი იყო და ნაკრებში 1997 წელს მივიდა. მაშინ სოდერბერგი და ლაგერბეკი ჯერ კიდევ არ იყვნენ თანაბარძალოვანი მწვრთნელები — უფროსი სოდერბერგი იყო, ლაგერბეკი კი მის თანაშემწედ მუშაობდა.

ნაკრებში მწვრთნელებს ფუნქციები ასე აქვთ განაწილებული: სოდერბერგი კარგი ფსიქოლოგია და ფეხბურთელების საბრძოლოდ განწყობა შეუძლია. ამასთანავე, ჟურნალისტებთან ურთიერთობაც მისი მოვალეობაა. ლაგერბეკს ტელევიზორში იშვიათად ნახავთ, ის ზის და ტაქტიკაზე ფიქრობს. მეტოქეთა თამაშის შესწავლა და სუსტი ადგილების პოვნაც მას ევალება.

ტომი სოდერბერგი, სანამ ნაკრებს ჩაიბარებდა, ცხადია, სადღაც მუშაობდა. 1992 წელს მან აიკ-ი შვედეთის ჩემპიონი გახადა. იქამდე ცოტა ხანი „იურგორდენში" მუშაობდა და ერთ ხანს პატარა კლუბ „ბრომაპოიკარნესაც" წვრთნიდა — ეს კლუბი ახლა შვედთა მეორე ლიგაში თამაშობს. 1994 წელს სოდერბერგი შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს და მთავარი გუნდის მწვრთნელად იქიდან მივიდა. ლარს ლაგერბეკი კი, ეროვნულ გუნდამდე ჭაბუკთა ნაკრებებში მუშაობდა.

სოდერბერგიც და ლაგერბეკიც 55 წლისანი არიან.



**მეკარეები**

1 ანდრეას ისაკსონი ------ იურგორდენი
12 მაგნუს ჰედმანი ------- ანკონა, იტალია
23 მაგნუს კილშტედტი --- კოპენჰაგენი, დანია



**მცველები**

2 ტედი ლუკიჩი ---------- ლევერკუზენი, გერმანია
3 ოლოფ მელბერგი ----- ასტონ ვილა, ინგლისი
4 იოჰან მიალბი ---------- სელტიკი, შოტლანდია
5 ერიკ ედმანი ----------- ჰერენვენი, ჰოლანდია
13 პეტერ ჰანსონი ------------------- ჰერენვენი, ჰოლანდია
14 ალექსანდერ ოსტლუნდი ------------ ჰამარბი
15 ანდრეას იაკობსონი ----------------- ბრონდბიუ, დანია
22 ერიკ ვალშტედტი ------------------- ჰელსინგბორგი



**ნახევარმცველები**

6 ტობიას ლინდეროტი - ევერტონი, ინგლისი
7 მიკაელ ნილსონი ------ ჰალმსტადი
8 ანდერს სვენსონი ----- საუთჰემპტონი, ინგლისი
9 ფრედერიკ ლიუნგბერგი არსენალი, ინგლისი
16 კიმ კალსტრიომი ------------------- რენი, საფრანგეთი
17 ანდერს ანდერსონი ------------------ ბელენენსეში, პორტუგალია
19 პონტუს ფარნერუდი ----------------- სტრასბური, საფრანგეთი
21 კრისტიან ვილჰელმსონი ------------ ანდერლეხტი, ბელგია



**თავდამსხმელები**

10 ზლატან იბრაჰიმოვიჩი აიაქსი, ჰოლანდია
11 ჰენრიკ ლარსონი ---- სელტიკი, შოტლანდია
18 მათიას იონსონი ----- ბრონდბიუ, დანია
20 მარკუს ოლბოკი ----- ასტონ ვილა, ინგლისი

**მწვრთნელები: ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი**



ლარს ლაგერბეკი



ტომი სოდერბერგი

# ევრო-2004. C ჯგუფი: იტალია, დანია, შვედეთი ბულგარეთი

## პრეზიდენტის ხათრით
### ჰენკის დაბრუნებას გაუმარჯოს!



ჰენრიკ ლარსონი

*ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატიდან რვა წლის მერე ჰენრიკ ლარსონი სანაკრებო ფეხბურთიდან წავიდა. ეს კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე მოხდა. ამ გაზაფხულზე კი ლარსონს უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იოჰანსონმა წერილი მისწერა და ნაკრებში დაბრუნება სთხოვა. იუჰანსონი, მოგეხსენებათ, შვედია და ამადაც გაისარჯა. ლარსონი იუჰანსონის თხოვნას დაყაბულდა და აპრილში ნაკრებში დაბრუნება ინება. ისიც ცხადია, რომ სუპერფორვარდის ამ გადაწყვეტილების მერე უამრავმა შვედმა შვებით ამოისუნთქა და ჩათვალა, რომ ლარსონთან ერთად შვედეთის ნაკრები უფრო შორს წავა, ვიდრე მის გარეშე.*

გარდა იმისა, რომ ლარსონი კარგი ფეხბურთელია, შვედთა ამ რწმენას სრულიად კონკრეტული მიზეზებიც აქვს. კერძოდ, ლარსონმა წინა ევროპის ჩემპიონატზე იტალიას გაუტანა, ათი წლის წინ კი ამერიკულ მუნდიალზე მესამე ადგილისთვის მატჩში ბულგარელებისთვის გატანილი ოთხი გოლიდან ერთი მისიც იყო. იტალია და ბულგარეთი კი, მოგეხსენებათ, შვედთა მეტოქეები არიან, ხოლო ლარსონს მათი კარის დალაშქვრის გამოცდილება აქვს.

სამშობლოში მას ჰენკიდ მოიხსენიებენ, ოღონდ იქიდან დიდი ხნის წასულია.

„სელტიკში“ ლარსონი „ფეიენოორდიდან“ გადავიდა 1997 წელს სულ რაღაც 750 ათას გირვანქად. მერე, გეხსომებათ, „ლიონთან“ უეფას თასის შეხვედრაში ფეხი მოიტეხა და ფეხბურთს კარგა ხნით ჩამოშორდა. დაბრუნებულმა კი, სამი წლის წინ, „ოქროს ბუციც“ დაიმსახურა სეზონში 53 გოლის გატანისთვის. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ევროპაში შოტლანდიის ჩემპიონატს ცოტა ალმაცერად უყურებენ და იქ ბევრი გოლის გატანას მაინცდამაინც დიდ დამსახურებად არ თვლიან.



2002 წლის მუნდიალზე ჰენრიკ ლარსონმა ნიგერიას ორჯერ გაუტანა

სიმართლე გითხრათ, რომელ კლუბში თამაშობს დღეს ჰენრიკ ლარსონი, ვერ მოგახსენებთ. განაცხადში ის ისევ „სელტიკის“ მოთამაშედ მოიხსენიება, მაგრამ ამ სეზონის ბოლოს გლაზგოურ კლუბთან კონტრაქტი აღარ გააგრძელა. მისი სურვილისა თუ შეთავაზებების თაობაზე კი არაფერია ცნობილი. „სელტიკის“ მენეჯერმა მარტინ ონილიმ თქვა, ნაღდად ვერ წარმომიდგენია, ვინ უნდა ვათამაშო მის მაგიერო. კლუბის ფანებმა კი ლარსონი ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ბრწყინვალე საგოლე ალღოს მიუხედავად, ლარსონი „სელტიკის“ ყველა დროის ბომბარდირთა შორის მხოლოდ მესამეა. მან 315 მატჩში 242 გოლი გაიტანა. ლარსონს 273 გოლით ბობი ლენოქსი და 470 გოლით ჯიმი მაკგრორი უსწრებენ.

ისე, ლარსონს „სელტიკთან“ გამოთხოვება ეფექტური გამოუვიდა — შოტლანდიის თასის ფინალში „დანფერმლაინს“ გაუტანა და თასიც მოიგო.

შარშან ლარსონმა უეფას თასის ფინალში ორი გოლი გაუტანა „პორტუს“, ოღონდ თასის მოსაგებად ის დუბლი საკმარისი არ გამოდგა.

ბოლოს დავძინოთ, რომ 73 სანაკრებო მატჩში ლარსონს 24 გოლი აქვს გატანილი.

## შეუმჩნეულია არტისტობაში

სტადიონს გარეთ კიმ კალსტრიომი შეუმჩნეველი კაცია ისევე, როგორც შვედ ფეხბურთელთა უმრავლესობა და რომელ კატეგორიაშიც ფრედი ლიუნგბერგი ვერასდროს შევა. მაგრამ მოედანზე კალსტრიომი ძალიან ხშირად იმყოფება ყურადღების ცენტრში.



კიმ კალსტრიომი

აწ დასრულებულ სეზონში კალსტრიომი ფრანგულ „რენში“ თამაშობდა, იქამდე ზედიზედ ორ სეზონში კი შვედეთის ჩემპიონი გახდა. ის „იურგორდენის“ ნახევარმცველი იყო და იმ ორ სეზონში 26 გოლიც გაიტანა და ორი ამდენი თანაგუნდელებს გაატანინა.

და როცა დეკემბერში ის „რენში“ გადავიდა, ახალმა მწვრთნელმა პირველ რიგში დიეტის დაცვა მოსთხოვა. ხოლო სანამ მისი ტრანსფერის ამბავი გადაწყდებოდა, „მანჩესტერ იუნაიტედში“, „ჩელსიში“ და „მილანში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. იტალიურმა „კორიერე დელო სპორტმა“ კი ჯერ კიდევ 1999 წელს კალსტრიომი მაიკლ ოუენთან ერთად ევროპის ერთ-ერთ უპერსპექტიულეს ფეხბურთელადაც მოიხსენია.

სამ თვეში, რაც კალსტრიომს საამსეზონო საფრანგეთის ჩემპიონატში თამაში მოუწია, „ეკიპმა“ ორჯერ შეიყვანა ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

შვედები მასზე ამბობენ, ბურთს არტისტივით ექცევაო.

### გზა პორტუგალიამდე

IV შესარჩევი ჯგუფი

| | |
|---|---|
| 07.09.2002 | ლატვია 0:0 შვედეთი |
| 12.10.2002 | შვედეთი 1:1 უნგრეთი |
| 02.04.2003 | უნგრეთი 1:2 შვედეთი |
| 07.06.2003 | სან მარინო 0:6 შვედეთი |
| 11.06.2003 | შვედეთი 3:0 პოლონეთი |
| 06.09.2003 | შვედეთი 5:0 სან მარინო |
| 10.09.2003 | პოლონეთი 0:2 შვედეთი |
| 11.10.2003 | შვედეთი 0:1 ლატვია |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 19:3 | 17 |
| ლატვია | 8 | 5 | 1 | 2 | 10:6 | 16 |
| პოლონეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| უნგრეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:9 | 11 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0:30 | 0 |

*ჰენრიკ ლარსონის გარდა თუკი შვედებს ამ ევროპის ჩემპიონატზე ვინმეს იმედი გამორჩეულად უნდა ჰქონდეთ, ეს ექვგარეშე ფრედი ლიუნგბერგია, რომელსაც, სხვათა შორის, მალიმალ ადარებენ დევიდ ბექემს*

## ტოპ-ლიუნგბერგი

ასე მსჯელობენ: მხოლოდ უცნობილეს მოდელიორთა ტანისამოსს ატარებს? ატარებს. თმებს ათასფრად ილებავს და ნაირნაირად ივარცხნის? ივარცხნის. უძვირეს ლამის კლუბებში ჩშირად დაიარება? დაიარება. მოედანზე ჩხუბობს? ჩხუბობს. ჰოდა, ეგეც თქვენ ბექემიო.



თუმცა მაინც ვთქვათ, რომ ლიუნგბერგი ლიუნგბერგია, ბექემი კი ბექემი. თუ მაინცდამაინც შედარებაზე მიდგა საქმე, სანაკრებო ფეხბურთში ლიუნგბერგი ბექემივით სასარგებლო ვერ არის. წინა ევროპის ჩემპიონატზე ლიუგბერგს სასარგებლო არაფერი გაუკეთებია, ისევე როგორც, მთლიანად შვედეთის ნაკრებს. წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიუნგბერგმა შვედთა ოთხი მატჩიდან მოლოდ ორში ითამაშა, რაკი ტრავმა აწუხებდა. იმ ჩემპიონატზე მან თუ რამით გამოიჩინა თავი, უპირველესად ოლოფ მელბერგთან ვარჯიშისას ჩხუბით.

ფრედი ლიუნგბერგს 39 სანაკრებო მატჩში სამი გოლი აქვს გატანილი. „არსენალში“ მას გაცილებით მეტი გააქვს.

ლიუნგბერგი არ არის ძალიან ტექნიკური და ამ მახასიათებლით მას მსოფლიო კლასის ფეხბურთელად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ რასაც ვერ დაუკარგავ, სისწრაფე და თამაშის კითხვაა. ამ კომპონენტებში მას გვერდით ბევრი ვერ ამოუდგება.



ოლოფ მელბერგისა და ფრედი ლიუნგბერგის გახმაურებული ჩხუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

**12 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.45 | 002 | ესპანეთი-რუსეთი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |

**13 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 003 | შვეიცარია-ხორვატია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |

**14 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 005 | დანია-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

**15 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 007 | გერმანია-ჰოლანდია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 23.45 | 008 | ჩეხეთი-ლატვია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |

**16 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 009 | საბერძნეთი-ესპანეთი | 7,0 | 3,5 | 1,5 | 2,33 | 1,23 | 1,04 |
| 23.45 | 010 | რუსეთი-პორტუგალია | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |

**17 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 011 | ინგლისი-შვეიცარია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.45 | 012 | ხორვატია-საფრანგეთი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |

**18 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 013 | ბულგარეთი-დანია | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.45 | 014 | იტალია-შვედეთი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |

**19 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 015 | ლატვია-გერმანია | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 23.45 | 016 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

**20 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 017 | ესპანეთი-პორტუგალია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.45 | 018 | რუსეთი-საბერძნეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

**21 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 019 | ხორვატია-ინგლისი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 23.45 | 020 | შვეიცარია-საფრანგეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |

**22 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 021 | იტალია-ბულგარეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 022 | დანია-შვედეთი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |

**23 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 023 | ჰოლანდია-ლატვია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 024 | გერმანია-ჩეხეთი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

| | 6001 ჩემპიონი | 6101 ფინალი | 6201 ჯგ.Iადგ. | 6301 ჯგ.გავა | 6401 ჯგ.ვერ.გავა |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4,5 | 2,2 | 1,75 | 1,15 | 4,0 |
| იტალია | 4,5 | 2,2 | 1,65 | 1,12 | 4,4 |
| პორტუგალია | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,2 | 3,5 |
| ესპანეთი | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,25 | 3,1 |
| ინგლისი | 6,0 | 3,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჰოლანდია | 8,0 | 4,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჩეხეთი | 12,0 | 6,0 | 2,8 | 1,5 | 2,2 |
| გერმანია | 15,0 | 7,0 | 3,1 | 1,55 | 2,1 |
| შვედეთი | 25,0 | 12,0 | 4,5 | 1,9 | 1,7 |
| დანია | 30,0 | 13,0 | 4,6 | 1,95 | 1,65 |
| რუსეთი | 50,0 | 25,0 | 8,0 | 3,2 | 1,23 |
| ხორვატია | 50,0 | 20,0 | 8,0 | 2,9 | 1,27 |
| ბულგარეთი | 50,0 | 25,0 | 7,5 | 2,9 | 1,27 |
| საბერძნეთი | 75,0 | 35,0 | 8,0 | 3,8 | 1,16 |
| შვეიცარია | 75,0 | 35,0 | 12,0 | 3,8 | 1,16 |
| ლატვია | 200,0 | 75,0 | 30,0 | 8,0 | 1,02 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI

10
42 00 24
+%

შესაძლო
ცვლილებები
ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იტალია.**
**სერია C1/A. პლეი-ოფი**
**6 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 038 | ლუმეცანე-ლუკეზე | 1,85 | 2,7 | 4,6 | 1,09 | 1,31 | 1,7 |
| 19.30 | 039 | ჩეზენა-რიმინი | 1,8 | 2,6 | 5,0 | 1,06 | 1,32 | 1,71 |

**იტალია.**
**სერია C1/A. პლეი-აუტი**
**6 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 040 | პრო პატრია-პრატო | 1,95 | 2,6 | 4,4 | 1,11 | 1,35 | 1,63 |
| 19.30 | 041 | რეჯანა-ვარეზე | 1,8 | 2,6 | 5,0 | 1,06 | 1,32 | 1,71 |

**იტალია. სერია C1/B. პლეი-ოფი**
**6 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 042 | კროტონე-ბენევენტო | 1,7 | 2,7 | 6,0 | 1,04 | 1,32 | 1,86 |
| 19.30 | 043 | ვიტერბეზე-ჯირეალე | 1,9 | 2,6 | 4,6 | 1,09 | 1,34 | 1,66 |

**იტალია. სერია C1/B. პლეი-აუტი**
**6 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 044 | ფერმანა-ტარანტო | 1,85 | 2,7 | 4,6 | 1,09 | 1,31 | 1,7 |
| 19.30 | 045 | პეზარო-პატერნო | 1,75 | 2,6 | 5,6 | 1,04 | 1,33 | 1,77 |

**ესპანეთი. II დივიზიონი.**
**XXXX ტური**
**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 048 | სიუდადი-ხეტაფე | 2,8 | 2,5 | 2,7 | 1,32 | 1,37 | 1,29 |
| 21.30 | 049 | სერესი-ლევანტე | 2,9 | 2,6 | 2,5 | 1,37 | 1,34 | 1,27 |
| 21.30 | 050 | ტერასა-სალამანკა | 2,3 | 2,3 | 3,6 | 1,15 | 1,4 | 1,4 |
| 22.30 | 051 | ეიბარი-მალაგა ბ | 2,1 | 2,5 | 3,6 | 1,14 | 1,32 | 1,47 |
| 23.00 | 052 | ეხიდო-ლას პალმასი | 1,7 | 2,8 | 4,6 | 1,05 | 1,24 | 1,74 |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 053 | ნუმანსია-ალავესი | 2,3 | 2,5 | 3,4 | 1,19 | 1,37 | 1,44 |
| 15.00 | 054 | ლეგანესი-ალხესირასი | 1,15 | 3,5 | 8,0 | 1 | 1 | 2,43 |
| 23.00 | 055 | ელჩე-უელვა | 2,2 | 2,6 | 3,5 | 1,19 | 1,35 | 1,49 |
| 23.00 | 056 | რაიო-კორდობა | 2,3 | 2,6 | 3,3 | 1,22 | 1,35 | 1,45 |
| 22.00 | 057 | სპორტინგი-კადისი | 1,55 | 3,2 | 5,0 | 1,04 | 1,18 | 1,95 |
| 22.00 | 058 | ტენერიფე-ალმერია | 2,05 | 2,5 | 4,0 | 1,12 | 1,35 | 1,53 |

**შვედეთი. სუპერეტა. VIII ტური**
**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 101 | ფრიოლუნდა-ნორჩიოპინგი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 19.00 | 102 | ენჩიოპინგი-ატვიდაბერგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 19.00 | 103 | ფალკენბერგი-გეფლე | 3,4 | 3,3 | 1,9 | 1,67 | 1,21 | 1,2 |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 104 | ფრისკა-ვესტეროსი | 3,4 | 3,3 | 1,9 | 1,67 | 1,21 | 1,2 |
| 19.00 | 105 | იოსტერსი-ბოდენსი | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 20.00 | 106 | ოპერა-გაის | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 20.10 | 107 | ბრომაპოიკარნა-ასირისკა | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |

**ნორვეგია. ტიპელიგა. X ტური**
**6 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 119 | ფრედრიკსტადი-ლინი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 21.00 | 120 | როსენბორგი-ჰამარი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 21.00 | 121 | მოლდე-სოგნდალი | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| 21.00 | 122 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 21.00 | 123 | ბრანი-ტრომსიო | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |
| 23.15 | 124 | ვიკინგი-ბოდიო გლიმტი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 125 | ლილესტრიომი-სტაბეკი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |

**ნორვეგია.**
**I დივიზიონი. X ტური**
**6 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 138 | ბრინი-კონგსვინგერი | 2,05 | 3,6 | 2,8 | 1,3 | 1,18 | 1,57 |
| 21.00 | 139 | ჰიოდი-პორს გრენლანდი | 1,75 | 3,6 | 3,5 | 1,17 | 1,16 | 1,77 |
| 21.00 | 140 | მანდალი-მოსი | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| 21.00 | 141 | რაუფოსი-სკეიდი | 2,4 | 3,5 | 2,35 | 1,42 | 1,18 | 1,4 |
| 21.00 | 142 | სანდეფიორდი-ალესუნდი | 2,45 | 3,5 | 2,3 | 1,44 | 1,18 | 1,38 |
| 21.00 | 143 | სტარტი-ჰიონეფოსი | 1,4 | 4,2 | 6,0 | 1,04 | 1,13 | 2,47 |
| 21.00 | 144 | ტრომსდალენი-სტრიომსგოდსეტი | 3,2 | 3,6 | 1,85 | 1,69 | 1,17 | 1,22 |
| 21.00 | 145 | ვარდ ჰაუგესუნდი-ჰაუგესუნდი | 3,1 | 3,6 | 1,9 | 1,66 | 1,17 | 1,24 |

**სლოვაკეთი.**
**I ლიგა. XXXV ტური**
**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 206 | ინტერი-ტრნავა | 2,3 | 3,0 | 2,8 | 1,3 | 1,26 | 1,44 |
| 20.30 | 207 | ტრენჩინი-პეტრჟალკა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.30 | 208 | რუჟომბეროკი-ბ.ბისტრიცა | 3,0 | 3,2 | 2,05 | 1,54 | 1,21 | 1,24 |
| 20.30 | 209 | პუხოვი-დუბნიცა | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |
| 20.30 | 210 | ჟილინა-სლოვანი | 1,1 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |

**აშშ. MLS. X ტური**
**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 229 | ჩიკაგო-ვაშინგტონი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,27 | 1,61 |
| 04.30 | 230 | ნიუ იორკი-დალასი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |
| 07.00 | 231 | ლოს ანჯელესი-კანზასი | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1,24 | 1,88 |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 01.00 | 232 | ნიუ ინგლენდი-კოლამბუსი | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |

**ევროპის ჩემპიონატი. 21 წლამდე**
**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 241 | შვედეთი(21)-სერბია(21) | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 23.45 | 242 | იტალია(21)-პორტუგალია(21) | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |

**მჩ შესარჩევი მატჩები (ს.ამერიკა)**
**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 255 | ეკვადორი-ბოლივია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 23.00 | 256 | არგენტინა-პარაგვაი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 01.00 | 257 | პერუ-ვენესუელა | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 03.00 | 258 | კოლუმბია-ურუგვაი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 06.30 | 259 | ჩილე-ბრაზილია | 4,0 | 3,1 | 1,9 | 1,74 | 1,28 | 1,17 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 19.00 | 293 | ინგლისი-ისლანდია | 1,22 | 4,6 | 10,0 | 1 | 1,08 | 3,15 |
| 20.00 | 294 | დანია-ხორვატია | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 21.30 | 295 | შვედეთი-პოლონეთი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 23.00 | 296 | ჰოლანდია-ირლანდია | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.45 | 297 | პორტუგალია-ლიტვა | 1,12 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,02 | 4 |
| 00.30 | 298 | ესპანეთი-ანდორა | 1,01 | 8,0 | 30,0 | 1 | 1 | 6,31 |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 19.00 | 299 | ლატვია-აზერბაიჯანი | 1,2 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,04 |
| 19.15 | 301 | შვეიცარია-ლიხტენშტაინი | 1,02 | 8,0 | 25,0 | 1 | 1 | 6,06 |
| 20.15 | 302 | ჩეხეთი-ესტონეთი | 1,15 | 5,3 | 12,0 | 1 | 1,04 | 3,67 |
| 22.00 | 303 | გერმანია-უნგრეთი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 23.45 | 304 | საფრანგეთი-უკრაინა | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 18.30 | 1103 | სიენა-სკიპერი | 1,2 | 10,0 | 3,3 | 1,07 | 1 | 2,48 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 1112 | ბარსელონა-ესტუდიანტესი | 1,25 | 10,0 | [illegible] | 1,11 | 1 | 2,36 |
| | | კალათბურთი. NBA | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 05.00 | 1135 | ლეიკერსი-დეტროიტი | 1,15 | 10,0 | 4,0 | 1,03 | 1 | 2,85 |

ეროვნული ბიბლიოთეკა


# იყიდება!

## პერსონალური კომპიუტერები

**პენტიუმ 1 (200 MMX)**

ოპერატიული მეხსიერება — 64 MB,
HDD — 1,2 GB, ვიდეო მეხსიერება — 1 MB,
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — SAMSUNG SYNCMASTER 15"

**ფასი — 100 $**

**პენტიუმ 1 (166 MMX)**

ოპერატიული მეხსიერება — 38 MB,
HDD — 2,0 GB, ვიდეო მეხსიერება — 1-4 MB (On Board),
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — LG STUDIOWORKS 15"

**ფასი — 100 $**

ტელეფონი: 39-48-29, 38-11-14


CROCO BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 13 263 280 €

# როლანგარუსობა
# нас не догонят



ანასტასია მისკინა და ელენა დემენტიევა პირველ რუსულ სლემფინალს გაითამაშებენ

ელენე დემენტიევა საუცხოოდ საუბრობს ფრანგულად, პარიზულ თიხნარსაც უკვე კარგა ხანია, გასჩვევია, ხოლო ყველაზე მთავარი ისაა, რომ ფინალისკენ მიმავალ გზაზე მან ტურნირის მთავარფავორიტსა და ფრანგთა მთავარიმედ ამელი მორესმოს აჯობა.

ყოველივე ამის გამო მას სჯერა, რომ უფლებაც კი არა აქვს, დღევანდელ ფინალში თანამემამულე ანასტასია მისკინას დაუთმოს.

„მე ვალდებული ვარ, ტურნირი მოვიგო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფრანგები არასოდეს მაპატიებენ იმას, რომ მათი ფალავანი დავამარცხე" — ამბობს ის.

განმაიარაღებელი ღიმილისა და წელშიგადამტეხი ხელწალმის მქონე ამ ქერა გოგონამ კარიერის პირველ სლემფინალში მოსახვედრად გუშინწინ დამაჯერებლად სძლია შავტუხა არგენტინელ პაოლა სუარესს.

მის მიერ მორესმოს, ხოლო მანამდე ლინდსი დევენპორტის დამარცხებათა შემდეგ ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ მუყაით, ოღონდ უნაპერწკლო სუარესს ის უპრობლემოდ გაივლიდა.

ამის საწინააღმდეგოდ რამე არც პარიზელ ქომაგს ჰქონია — 22 წლის სანდომიან რუსგოგოს იქ ყველა უკვე თავისიანად აღიქვამს.

ფრანგული ლენამ სკოლაში ისწავლა და ამ ენაზე თითქმის ისევე თავისუფლად საუბრობს, როგორც კანადური წარმომავლობის ფრანგი მარი პირსი. მისი დანარჩენი თულფები კი მტკიცე ხასიათი და აგრესიული ბურთაობაა, რამაც მომხიბლავ გარეგნობასთან ერთად მას პარიზელთა გულები დააპყრობინა.

„ჰო, ეს ჩემი უსაყვარლესი ტურნირია და აქ თავს ყოველთვის საუცხოოდ ვგრძნობ — ამბობს ლენა — ცხადია, აქ ჩემი ფრანგულიც ძალზე მეხმარება."

ოღონდ დღევანდელი ფინალის ოფიციალური ენა არა ფრანგული, არამედ რუსული იქნება და დემენტიევამაც ადგილობრივი პუბლიკის გულთაპყრობაზე მეტად თვისტომი მეჩოგნის დამორჩილებაზე უნდა იზრუნოს.

ეს იქნება ისტორიაში პირველი რუსული სლემფინალი და მასში ერთმანეთს შეეხლება ორი 22 წლის გოგო, რომელთაც ერთდროულად დაიწყეს თამაში ერთსა და იმავე მოსკოვურ კლუბში.

„ჩვენ ალბათ 30-ჯერ და მეტჯერაც შევხვედრივართ" — ამბობს ანასტასია მისკინა, რომელიც, ისევე როგორც მისი დღევანდელი მეტოქე, კარიერის პირველ სლემფინალში 'ითამაშებს.

„მას მთელი ცხოვრებაა, ვიცნობ. როცა პირველად შევხვდით, ექვსი თუ შვიდის წლის ვიქნებოდით. მერე მარატ საფინის დედა გვწვრთნიდა. ერთად ვიყავით მაშინ, როცა იუნიორებში გამოვდიოდით, ერთად ვთამაშობდით გუნდურ ტურნირებზეც. ჩვენ ყველაფერს ერთად ვაკეთებდით. ყველაფერი კი „სპარტაკში" დაიწყო, სახელოვან კლუბში, რომელსაც აქამდე საფეხბურთო და ჰოკეის გუნდებით იცნობდნენ. ამიერიდან კი „სპარტაკს" დიდი სახელი უკვე ჩვენს გამოც ექნება... რაც მთავარია, ჩვენ ყოველთვის კარგი მეგობრები ვიყავით და, იმედია, ეს დღესაც ასეა."

მაშინ როცა დემენტიევა როლანგაროსულ სეფეთიხნარზე თავს ისე გრძნობს, როგორც მშობლიურ „სპარტაკში", მისკინას იქ თამაში ყოველთვის უჭირდა. წლევანდლამდე მას საფრანგეთის ღია პირველობაზე მხოლოდ ერთადერთი მატჩი მოეგო.

ალბათ ამის გამო იყო, ჯენიფერ კაპრიატისთან ციმციმ მოგებული მატჩის შემდეგ იგი უწინარესად დაღლილობაზე რომ საუბრობდა. ისე დავიღალე, ნერვიულობის თავიც აღარ მქონდაო. „აქამდე არასოდეს მოვსულვარ — დასძენდა მერე — ასე რომ, ძალზედ ბევრი ჩოგბურთი მომივიდა. ფინალში ვინ მოიგებს? ალბათ ის, ვინც მენტალურად უფრო ძლიერი გამოდგება."

თუმცა რომელი მათგანიც არ უნდა გამოდგეს მენტალურად უფრო ძლიერი, ყველა შემთხვევაში გამარჯვებული მაინც რუსეთი იქნება — ვეება ნაიმპერიალი ქვეყანა, რომელსაც საჩოგბურთო ამბავში აქამდე მხოლოდ ევგენი კაფელნიკოვის ორი და მარატ საფინის ერთი სლემტიტული დაეკვეხოდა.

ჰოდა, რა გასაკვირია, ლენასა და ტასიას ამგვარ წარმატებას რუსული ჩოგბურთის მახვში შამილ ტარპიშჩევი სადღეგრძელოების გუნებაზე რომ დაეყენებინა.

„ეს არა მხოლოდ რუსული ჩოგბურთის, არამედ მთელი რუსული სპორტის დიდი გამარჯვებაა — თქვა მან — ეს ჩვენი ჩოგბურთის კიდევ ერთი ისტორიული დღეა და სიმბოლურია, რომ ყველაფერი კვლავ პარიზში ხდება. პარიზი ჩვენთვის ყოველთვის იღბლიანი ქალაქი იყო და მან არც ჩვენს გოგონებს უმტყუნა."

შეგახსენებთ, რომ კაფელნიკოვმა პირველი რუსული სლემტიტული 1996 წელს სწორედ იქაურ სეფეთიხნარზე იშოვა, პარიზშივე მოიხვეჭეს 2002 წელს რუსებმა თავიანთი პირველი დევისთასიც, როცა უდაბაბულეს ფინალურ შეხლაში მასპინძლებს 3:2 სძლიეს...

რუსი ქალები მსოფლიოს იავარქმნით უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ემუქრებოდნენ, თუმცა აქამდე ან დები უილიამსები იყვნენ უყუმბარეს ფორმაში, ანაც მათი ბელგიელი შემცვლელები — ჟუსტინ ენენი და კიმ კლაისტერსი. წლეულს კი რუსქალთათვის ყველაფერი იღბლიანად დაემთხვა — ლიდერთა ლიანგური ტრავმიანობისა და უფორმობის გამო მათ ორად-ორ მოცილედ 29 წლის ჩადრანცულებული ჯენიფერ კაპრიატი და შინაური კედლების ფობიით შეპყრობილი ამელი მორესმო ერგოთ. ამათი ჩამოშორება კი რუსულ დივიზიას არ გასჭირვებია.

„მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ადრე თუ გვიან ჩვენი ზეობის დროც მოვიდოდა — დასძინა ტარპიშჩევმა — მაგრამ თუკი ასეთ დიდ წარმატებას ასე მალე მივაღწევდით, მეც არ მეგონა. დამიჯერეთ, ეს მხოლოდ დასაწყისი და პირველი ტალღაა. მომდევნო ტალღებს შარაპოვა, კუზნეცოვა, ზვონარიოვა, პეტროვა, საფინა და სხვები ააგორებენ. ჩვენ ახლა ველარავინ გაგვაჩერებს."

**ლევან ძელაურაძე**



ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ელისტა. რუსეთი. 21 მაისი — 8 ივნისი

ფინალი მეორე მატჩი

კოვალევსკაია (რუსეთი) — სტეფანოვა (ბულგარეთი) 0:1 (პირველი მატჩი 0:1)

# რუსებს ბულგარელი აუმხედრდა

ანტოანეტა სტეფანოვამ ეკატერინა კოვალევსკაიას მეორე პარტიაც მოუგო და მომდევნო ორ შეხვედრაში საოცრება უნდა მოხდეს, ასლან აბაშიძის სახელობის გვირგვინი რომ ვერ მოიპოვოს.

ბულგარელმა მეორე შეხვედრაც ძლიერად ჩაატარა და რუსს მდგომარეობის გამოსწორების შანსი არ მისცა. სლავებმა მეხუთე სვლაზე თითო პაიკი გაცვალეს და იერიშებისთვის მზადებას შეუდგნენ. მე-14 სვლაზე ბულგარელის მხედარი რუსის სიმაგრეში შეიჭრა, მათი მხედარი მოკლა და დიდი გაცვლებიც დაიწყო. ფიგურების ჟლეტაში სტეფანოვა უფრო ყოჩაღი გამოდგა და 21-ე სვლაზე პაიკი მოიგო. ოდნავ მოგვიანებით დაფაზე გაჩაღებული დიდი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ დაფაზე ფიგურები საკმაოდ შეთხელდა, ამიტომაც მეტოქეები გაცვლებს მოეშვნენ და პაიკების გაყვანისთვის დაიწყეს ბრძოლა. ფიგურების გადაწყობისას სტეფანოვამ კოვალევსკაია შეცდომაზე გამოიჭირა, მეორე პაიკიც მოუგო და 67-ე სვლაზე გამარჯვებაც ჩაიწერა.

# მე მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები!

## ნანა ძაგნიძე ჭადრაკზე, მაია ჩიბურდანიძესა და ქუთაისზე

*ყალმუხეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მრავალი ახალგაზრდა მოჭადრაკე გამოდიოდა და კარგი თამაშით ბევრმა დაამახსოვრა ხალხს თავი. მათ შორის იყო 17 წლის ნანა ძაგნიძე, რომელსაც ახალგაზრდა მაია ჩიბურდანიძეს ადარებენ. ნანას ეს ინტერვიუ ელისტაში ჩვენმა კოლეგებმა ჩამოართვეს*



— ჩემპიონატამდე თქვენ წერილით მიმართეთ ფიდე-ს პრეზიდენტს და დაჰპირდით, რომ ჩემპიონი გახდებოდით, რატომ ვერ შეძელით მოგება და პირობას როდის შეასრულებთ?

— მე ეს წერილი იმიტომ დავწერე, რომ ჩემი ძალის მჯერა. ამ ეტაპზე ჩემპიონობის იმედი ბოლომდე არ მქონდა. ასეთი მასშტაბის ტურნირში პირველად ვითამაშე და გამოცდილება შევიძინე. ჩემს სიტყვას კი მომავალ ჩემპიონატზე შევასრულებ.

— როგორ ფიქრობთ, ვინ იყო თქვენი მთავარი მეტოქე?

— პირველ რიგში ჩემი თანამემამულეების მეშინოდა, სერიოზულ მეტოქედ ასევე ანტოანეტა სტეფანოვას ვთვლიდი და სწორედ მან გამომთიშა ასპარეზობას.

— ჩემპიონატის შემდეგ რას გააკეთებთ?

— პირველ რიგში მშობლებთან ერთად ქუთაისში დავისვენებ, შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონატისთვის მოვემზადები, რომელიც 15 ივნისს დაიწყება. ამ ჩემპიონატიდან დაკომპლექტდება ნაკრები, რომელიც ოლიმპიადაზე გაემგზავრება. ნაკრებში მე და მაია ჩიბურდანიძეს პირველ-მეორე დაფაზე თამაში უკვე დაბევებული გვაქვს, თუმც დანარჩენის ვინაობა ჯერ უცნობია და ალბათ სერიოზული ჩემპიონატი იქნება. ვეცდები, ოქრო მოვიგო.

— როგორც ვიცით, ნაკრების გარდა, კლუბშიც თამაშობთ, სახელწოდებით ნტნ...

— დიახ, ეს კლუბი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი აქვს მოგებული. ნტნ-ს გარდა მე ასევე ბუნდესლიგის „კარლსრუესთან" გავაფორმე კონტრაქტი.

— ნანა, მოგვიყევით თქვენს შესახებ: როგორ დაიწყეთ ჭადრაკის თამაში და ვინ არის თქვენი მწვრთნელი?

— მე 1987 წლის 1 იანვარს დავიბადე ქუთაისში. სხვათა შორის, მაია ჩიბურდანიძეც ამ ქალაქში დაიბადა. მამაჩემი ჭადრაკის დიდი ქომაგია და სიარული დავიწყე თუ არა, ჭადრაკის თამაში მასწავლა. ხუთი წლისა უკვე სერიოზულ წინააღმდეგობას ვუწევდი მას. მოგვიანებით კი დიდი წარმატებებიც მოვიდა. 12 წლისა ამავე ასაკის ვაჟებს შორის საქართველოს ჩემპიონი გავხდი და გავაცნობიერე, რომ ჭადრაკის თამაში მსურდა. ამის შემდეგ გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი გოგონებში 10, 12, 16, 18 და 20 წლამდელ ასაკობრივ ჯგუფებში. ამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კი ხვიჩა სუპატაშვილი მამზადებდა, რომელიც მაია ჩიბურდანიძის მწვრთნელიცაა.

— თქვენ ხშირად გადარებენ ახალგაზრდა ჩიბურდანიძეს...

— ეს ძალიან მსიამოვნებს...

— მაია რას ამბობს ამაზე?

— ჯობს, ეს მას ჰკითხოთ. ისე კი, ჩვენ მეგობრები ვართ...

— კიდევ ვინ არიან თქვენი მეგობრები?

— ნინო გურიელი, ნანა ალექსანდრია, მაია ლომინეიშვილი... კიდევ ბევრი მოჭადრაკე.

— ყველაზე მეტად ვისი თამაში მოგწონთ?

— მანდილოსნებში იუდით პოლგარის, მამაკაცებში კი ვიშვანათან ანანდის.

— ქართულ ჭადრაკს მძიმე პერიოდი ედგა, ახლა კი თითქოს გამოსწორდა ყველაფერი.

— გეთანხმებით და მჯერა, რომ მალე ერთ-ერთი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება.

— დიდი ხანია, ქალებში თამაშობთ. მამაკაცთა ტურნირებში მონაწილეობა არ გიცდიათ?

— მიყვარს ვაჟებთან თამაში, რადგან იქ სხვა დონეა. იმედი მაქვს, რომ მალე სპონსორი გამომიჩნდება და ვაჟებს შორისაც ხშირად ვითამაშებ.

— შეძლებთ?

— მე ყოველთვის გამარჯვებისთვის ვთამაშობ.

— რა დროს უთმობთ ჭადრაკს?

— დღეში ექვს საათს.

— რა არის თქვენი ჰობი?

— მიყვარს კითხვა და კალათბურთი. ადრე ამ სპორტსაც მივდევდი.

— რა მუსიკას უსმენთ?

— ძირითადად ქართულს.

— რა ენები იცით?

— რუსული, ესპანური და ინგლისური.

**ლუკა გეგეჭკორი**

# კალათბურთი აგვამაღლებს

## ზურაბ სამხარაძის რჩევა: არ დაკარგოთ მოთამაშე, არ დაკარგოთ თაობა

*ზაზა ფაჩულია, მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, დავით ბერძენიშვილი, ზაზა ენდელაძე, ირაკლი ხოშტარია... ამ კალათბურთელებს, გარდა იმისა, რომ კარგი მოთამაშეები არიან, ერთი რამ აერთიანებთ — გამზრდელი მწვრთნელი. ზურაბ სამხარაძე ბავშვთა მწვრთნელია და ამ ყოჩაღი ბიჭების გარდა, კიდევ ბევრი კალათბურთელი გამოუზრდია. ის დღედაღამ დარბაზშია, სულ ბავშვებთანაა და ვინ იცის, კიდევ ზრდის ახალ ფაჩულიებსა და მარკოიშვილებს. ბატონ ზურაბს გუშინ დიდუბის მანეჟში ვეწვიეთ, სადაც ის გემრიელად გველაპარაკა ბავშვთა კალათბურთის თავისებურებებზე*

**— რამდენად პოპულარულია კალათბურთი დღეს საქართველოში?**

— შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში კალათბურთის ბუმია. აქტივობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც ნბა-ში მე-3 ქართველი გადავიდა. აქეთ ევროპაში მოთამაშეებმაც მიაღწიეს გარკვეულ დონეს და მშობლებმაც დაიწყეს ბავშვთა საკალათბურთო სექციაში მოყვანა. ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოიტანს შედეგს, ოღონდ სახელმწიფოსგანაც უნდა იყოს მხარდაჭერა.

**— მაშ, ახლა რის ხარჯზე მუშაობთ? ამ სკოლაში თითქმის ყველა ასაკობრივი გუნდია...**

— ენთუზიაზმის და თავგამოდების ხარჯზე. კალათბურთის სიყვარული გვეხმარება და გაყინულ დარბაზში ვარჯიშსაც ვუძლებთ.

**— ეს ახლა და ადრეც ასე იყო? ბერძენიშვილი, ფაჩულია, მარკოიშვილი გაყინულ დარბაზში ვარჯიშობდნენ?**

— რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა და სახელმწიფო გათბობის ცნება გაქრა, ამ დარბაზში გათბობა აღარ ყოფილა. ყველა ამ სიცივეში ვარჯიშობდა — ეგ სამიც, ვიქტორ სანიკიძეც, ირაკლი ხოშტარიაც, რევაზ ათანელიშვილიც, ზაზა ენდელაძეც, რომელიც მე ქუთაისიდან ჩამოვიყვანე, როცა ის მე-6 კლასში იყო.

**— ვის გამოარჩევთ ამათგან? რომლები იყვნენ ყველაზე გულმოდგინენი?**

— როგორც ვერც ერთ თითს ვერ გაწირავ მოსაჭრელად, მეც ისე მიჭირს რომელიმეს გამორჩევა. თუ მაინც დამაძალებთ, ჰა, ბატონო: ფაჩულია — მარკოიშვილი — სანიკიძე. ესენი არიან ყოვლად გაწონასწორებული პიროვნებები და ბევრსაც მიაღწიეს უკვე.

**— ამ სამიდან რომელს გამოარჩევთ, როგორც ყველაზე ნიჭიერს?**

— იცით, მათ იმიტომ მიაღწიეს წარმატებას, რომ რამე კონკრეტულ კომპონენტში არ იყვნენ გამორჩეულნი. მხოლოდ ნიჭიერება არაფერია, თუ მონდომება არ გაქვს. მონდომებით ვერაფერს მიაღწევ, თუ ჯანმრთელი არ ხარ. მხოლოდ ჯანი არაფერია, თუ მტკიცე ხასიათი არ მაქვს. მოკლედ, წარმატება მხოლოდ მაშინ მოვა, როცა ეს თვისებები მოიყრის თავს ერთ პიროვნებაში: ნიჭიერება, ხასიათის სიმტკიცე, ჯანმრთელობა, ინტელექტი. ბავშვში კოდირებული უნდა იყოს კალათბურთის თამაშის ნიჭი, რომელსაც სხვა ფიზიკური და მენტალური მონაცემებით დახვეწს.

**— რა არის ისეთი, რასაც ვერ ასწავლი, ანდა პირიქით?**

— ავიღოთ სისწრაფე: თუ სწრაფად ვერ დარბიხარ, რამდენიც უნდა ივარჯიშო, მნიშვნელოვნად ვერ გაიუმჯობესებ სისწრაფეს. სროლის სწავლა კიდევ შეიძლება. ეს ხელის ელასტიურობაზე, ბურთის მგრძნობელობაზეა დამოკიდებული, რაც ვარჯიშით შეიძლება დაიხვეწოს. ნახსენებ სამეულს ყველა მონაცემი ჰქონდა საიმისოდ, რომ დიდი კალათბურთი ეთამაშა. ისე კი, მანუჩარი განსაკუთრებულად სწრაფი იყო.

**— რომელი იყო ყველაზე ცელქი და მოუსვენარი?**

— ზაზა ფაჩულია. ის თითქოს ჩუმი იყო, მაგრამ ამასთან ძალიან ეშმაკი. ზაზას გუნდში ჩემი ტყუპი შვილებიც იყვნენ. ტყუპებს ამოჩემებული ჰყავდათ ზაზა და ხან როგორ აწვალებდნენ და ხან როგორ. მაგრამ ამას უმიზეზოდ არ აკეთებდნენ, ზაზა ისეთ რალაცეებს უებნებოდა ხუმრობით, რომ ჩემს ბიჭებს მეტი აღარ უნდოდათ — ზედ ახტებოდნენ. ფაჩულიას ძალიან კარგი იუმორი აქვს. ხანდახან ისეთ რამეს იტყოდა, კაცს გაახელებდა, მაგრამ ეს არ იყო ბოროტი ხუმრობა. ისე, ხუმრობაც აუცილებელია. უამისოდ ყველას გაუჭირდება მუშაობა.

**— საერთოდ, ბავშვებთან მუშაობა უფრო ძნელი არაა, ვიდრე დიდებთან? თქვენ რატომ აირჩიეთ ეს საქმე?**

— ბავშვებთან მუშაობა ჩემი მოწოდებაა. ერთი პერიოდი, ახალგაზრდობაში, მომიწია დიდებთან მუშაობამ, მაგრამ მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე და ისევ პატარებში დავბრუნდი. სულ სხვაა, როცა შენს თვალწინ იზრდება, იხვეწება და კაცდება ბავშვი. მე ამისგან უდიდეს სიამოვნებას ვიღებ, სხვა საქმიანობა ვერც კი წარმომიდგენია. არ ვიცი, რამდენად კარგად გამომდის, რადგან კარგად საქმის კეთება ძალიან ბევრს უჭირს, თუმც ჩემი გაზრდილების წარმატებები უდიდეს სტიმულს მმატებს.

**— ისე, მარტო თქვენ არ ხართ, ბავშვთა კალათბურთს რომ ვერ ელევით. იშვიათია, პატარებში ნამუშევარს დიდ კლუბისკენ გაუწიოს გულმა...**

— ბავშვი რომ იზრდება, მოთხოვნებიც იზრდება. სადაც მეტი მოთხოვნაა, იქ მეტი ფულიც ტრიალებს და აქ ფუჭდება ყველაფერი. დიდ კალათბურთში მეტი სიბინძურეა, ვიდრე ბავშვთა კალათბურთში. აქ მეტი სიხალისეა, უშუალო ურთიერთობები და ჩემი ადგილიც აქაა.

**— თქვენი აღსაზრდელებიდან ვისთან შეინარჩუნეთ ახლო ურთიერთობა?**

— ისევ იმ სამეულთან. ბერძენიშვილიც ძალიან მოსიყვარულე ბიჭია, როცა შემხვდება, გულში მიხუტებს, ძალიან თბილი პიროვნებაა. არ მომოწონს, როცა რამეს მიაღწევენ და თავისი გამზრდელი მწვრთნელი ავიწყდებათ. ახლო ურთიერთობების გაცივება ძალიან ცუდია.

**— რატომაა, საქართველოდან სულ მაღალი ბიჭები რომ მიჰყავთ და გამთამაშებლების პრობლემაა?**

— საერთოდ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ მისი გზა ია-ვარდით არ იქნება მოფენილი. ძალიან ბევრი პრობლემა ელის ყველას და ვისაც ნებისყოფა არ აღმოჩნდება, ვერაფერს მიაღწევს. ასე დაემართა ჩემს აღსაზრდელ გიორგი მარხვაშვილს, რომელიც ძალიან პერსპექტიულ გამთამაშებლად ითვლებოდა. როცა ერთ მწვრთნელთან არ გამოგივა, არ უნდა დანებდე და სხვაგან წახვიდე. ნიჭი შეიძლება დაიკარგოს მწვრთნელისა და მოთამაშის შეუთავსებლობის გამო. შეიძლება, მოთამაშე ანჩხლი იყოს, მაგრამ მწვრთნელმა ყველაფერი უნდა გააკეთო და ნიჭიერი კალათბურთელი არ უნდა დაკარგო. მარკოიშვილი დაბალი არაა, მაგრამ მაინც წაიყვანეს უცხოელებმა იმიტომ, რომ შეუპოვარია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგირდი და ოსტატი: ზაზა ფაჩულია და ზურაბ სამხარაძე

გამთამაშებლების პრობლემა კი მართლაც არსებობს. დღეს ყველაზე იმედისმომცემი ზურაბ ტომარაძის 1988-წლიანი შუათანა ბიჭია.

**— რა უშლით ქართველ ბავშვებს, რომ კარგი მოთამაშეები გაიზარდონ?**

— აქაური გარემო. ერთი ფეხის დაცდენა და ეგრევე წასულია საქმე. წაიყვანენ ძმაბიჭები, მოაწევინებენ, დაალევინებენ და...

სკოლას დაამთავრებს თუ არა, ნიჭიერი კალათბურთელი საზღვარგარეთ უნდა წავიდეს. აქ პირობების ერთობლიობის პრობლემაა. მარტო კარგი მწვრთნელი და ბევრი საჭმელი არაა საქმე. პროფესიონალის გაზრდას ძალიან ბევრი ნიუანსი სჭირდება.

**— თვლით, რომ საქმე უკან-უკან მიდის?**

— არა, ახლა მეტი თავისუფლება გვაქვს, მაგრამ საშუალება არაა. ბაქოსა და ერევანში წასვლას, წადი მილანში, ბელგრადში, ჩიკაგოში, ვინ გიშლის? ახლა მეტი გაქანება გვაქვს, მაგრამ არაა მხარდაჭერა.

**— სპონსორების დაინტერესებას სათანადო კანონის მიღება სჭირდება...**

— საქართველო კანონს ვერ დაელოდება. ჩვენ არ გვაქვს იმხელა ბაზა, როგორც რუსეთს, უკრაინას, სერბეთს. ერთ სკოლაში თუ არ მოინახა გენიოსი, მეორეში იქნება. ჩვენთან ახლაა ნიჭიერი ახალგაზრდების მოძალება და უნდა გამოვიყენოთ ეს მომენტი. საერთოდ, ქართველები სპორტის ყველა სახეობას ვეძალებით, მაგრამ თითქმის ვერაფერში ვაღწევთ წარმატებას. მთელი რესურსი იქით უნდა მიიმართოს, საითაც ნიჭიერი თაობაა.

**— თავად უცხოეთში წასულმა მოთამაშეებმა რომ მიხედონ თავიანთ აღმზრდელ სკოლებს?**

— ეგ ეგრეცაა, მაგრამ საერთო ფონს მაგით ვერ შევცვლით. კი, ბატონო, გამოაგზავნა ფაჩულიამ „ბოტასები" და ბურთები, მაგრამ ყველაფერზე ლეგიონერები ვერ იზრუნებენ.

**ირაკლი პერტაია**





# თბილისისთვის რჩეულებს არჩევენ

დღეს-ხვალ ლონდონის შვიდკაცა რაგბის ტურნირი მსოფლიოს სერიას დაასრულებს. 16 უძლიერესში საქართველოცაა და ისეთი მეტოქეები შეხვდნენ, ალბათ ჯგუფში მესამე ადგილის დაკავებაც გაუჭირდება. თავად განსაჯეთ: დღეს ბორჯღალოსნები სამსაათიანი ინტერვალებით ახალ ზელანდიას, ავსტრალიასა და პორტუგალიას დაეჯახებიან.

წესით, ყველაზე თანაბარი ბრძოლა პორტუგალიელებთან უნდა გამოვიდეს. ეს შეხვედრა თბილისის დროით ათის ნახევარზე დაიწყება და თუ პორტუგალიის ძლევა მოხერხდა, ხვალ იტალიელებთან ანგარიშის გასწორების შანსიც მოგვეცემა. გასულ უქმეებზე ხომ აპენინელებმა მოგება მსაჯის დახმარებით აგვართვეს.

მწვრთნელმა ზაზა ლეჟავამ ბორდოს შვიდკაცას შემდეგ ნაკრები გადაახალისა. იძულებითი ცვლილება ოდენ ვასილ კაცაძეს შეეხო, რომელმაც საფრანგეთში მძიმე ტრავმა მიიღო. ტაქტიკური ცვლილებები კი მწვრთნელის ჩანაფიქრია. თბილისის ტურნირისთვის უძლიერესი შემადგენლობის შერჩევას ვაგრძელებო, გვითხრა ორიოდ დღის წინ ლეჟავამ და სალონდონე თორმეტეულის დასახელებსაც გუშინდელისთვის დაგვპირდა.

„შემადგენლობა თბილისისთვის კიდევ შეიცვლება, თუმც გაფართოებულ, 16-კაცა სიაში ეს ბიჭებიც არიან. ალბათ, საქართველოში გია ლაბაძესაც ჩამოვიყვან. იმედია, მალხაზ ურჯუკაშვილიც ჯანზე დამხვდება. სხვა სიახლეებს კი ჩამოსვლის მერე გეტყვით" — გვითხრა გუშინ ლეჟავამ.

ბორჯღალოსნები თბილისს ორშაბათს გამოემგზავრებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

არჩილ ქავთარაშვილი
ბესიკ ხამაშურიძე
ირაკლი გუნდიშვილი
ირაკლი გიორგაძე
პალიკო ჯიმშელაძე
ირაკლი აბუსერიძე
ოთარ ბარკალაია
სიმონ მაისურაძე
გიორგი კაჭარავა
ლაშა ფირფილაშვილი
ლექსო გუგავა
გიორგი ჩხაიძე

აღმოსავლეთი

დასავლეთი

# დეტროიტ პისტონზი VS ლოს ანჯელეს ლეიკერსი

ორგზის ჩემპიონი (1989, 1990)

რეგულარული ჩემპიონატი: 54 მოგება, 28 წაგება

აღმოსავლეთ კონფერენციაში დაიკავა მე-3 ადგილი

პლეი ოფში დაამარცა მილუოკი (4:1), ნიუ ჯერსი (4:3), ინდიანა (4:2)

ლიდერები პლეი ოფში: რიჩარდ ჰამილტონი (21.5 ქულა, 4.4 მოხსნა, 4.3 პასი), ჩონსი ბილაფსი (15.2 ქულა, 6.1 პასი), რაშიდ ვოლესი (13.0 ქულა, 7.8 მოხსნა, 2.1 დაფარება), ბენ ვოლესი (10.1 ქულა, 14.4 მოხსნა, 2.8 დაფარება, 1.9 ჩაჭრა), ტაიშონ პრინსი (9.9 ქულა, 5.7 მოხსნა, 1.6 დაფარება)

| | |
|---|---|
| 6 ივნისი | ლოს ანჯელესში |
| 8 ივნისი | ლოს ანჯელესში |
| 10 ივნისი | დეტროიტში |
| 13 ივნისი | დეტროიტში |
| *თუ საჭირო გახდა* | |
| 15 ივნისი | დეტროიტში |
| 17 ივნისი | ლოს ანჯელესში |
| 20 ივნისი | ლოს ანჯელესში |

14-გზის ჩემპიონი (1949, 1950, 1952, 1953, 1954, 1972, 1980, 1982, 1985, 1987, 1988, 2000, 2001, 2002)

რეგულარული ჩემპიონატი: 56 მოგება, 26 წაგება

დასავლეთ კონფერენციაში დაიკავა მე-2 ადგილი

პლეი ოფში დაამარცა ჰიუსტონი (4:1), სან ანტონიო (4:2), მინესოტა (4:2)

ლიდერები პლეი ოფში: კობი ბრაიანტი (25.1 ქულა, 5.3 მოხსნა, 5.8 პასი, 1.9 ჩაჭრა), შაკილ ონილი (20.0 ქულა, 13.9 მოხსნა, 3.4 დაფარება), კარლ მელოუნი (13.1 ქულა, 9.2 მოხსნა, 3.7 პასი), გერი პეიტონი (8.8 ქულა, 5.5 პასი), დერიკ ფიშერი (7.9 ქულა)

## დეტროა ლეიკერსისთვის



მწვრთნელი: ლარი ბრაუნი

ფინალიც მოგვადგა: საჩემპიონო სერია კვირიდან იწყება და ამბობენ, საინტერესო უნდა გამოდგეს... ვნახოთ.

„ლეიკერსს" ძალიან ბევრი უნახავს და თითქმის ყველა დაუმარცხებია, 2000-02 წლებში სამჯერ გასულა ფინალში და სამივეჯერ კუდით ქვა უსროლინებია აღმოსავლელისთვის. ლოსანჯელესელები ყოველთვის დასავლეთში თამაშობენ არაოფიციალურ ფინალს, აღმოსავლეთში ხომ მაიკლ ჯორდანის წასვლის შემდეგ დინოზავრები გადაშენდნენ.

მაგრამ „პისტონზი" კერკეტი მეტოქე ჩანს და „ლეიკერსისთანა" დევსაც გაეჩხირება ყელში. „დეტროიტთან" თამაში არავის სიამოვნებს და თანამედროვეობის ამ ყველაზე სრულყოფილი დაცვითი ჯებირის გარღვევა „ლეიკერსის" ვარსკვლავნიალვარსაც გაუჭირდება. შაკილ ონილს ყველას წალეკვა შეუძლია, მაგრამ ბენ ვოლესთან ძიძგილაობის დაწყებას ალბათ მოუთმენლად არ ელოდება. ვოლესი მასზე ათი სანტიმეტრით დაბალი და 45 კილოგრამით მსუბუქი კია, მაგრამ ძალიან ჯიუტი ვინმე გახლავთ და ყველაზე მუშა მჭიდელზე უფრო მუშაა, ძალიან ბევრ ბურთს ხსნის და აფარებს, თანაც ბოლო დროს მოხსნილი ბურთის უკან კალათში ჩაბრუნებაც ისწავლა.

დაცვით ქებულა, მაგრამ „დეტროიტს" შეტევაშიც არ უჭირს. გაწონასწორებულ დამწყებ ხუთეულს, თუ ჯანზე და ხასიათზეა, ალარიხივით მიუძლვის ჩონსი ბილაფსი, რომელიც „ლეიკერსის" ბებერი ახალწვეულის გერი პეიტონის მორიგი თავსატეხი გახდება. დაცვაში ასევე გაუჭირდება კარლ მელოუნს — მას ოპონენტად შლეგი რაშიდ ვოლესი ერგო.

ყველა ყველა და, მთავარი დუელი კი მსროლელებში გაიმართება — „ლეიკერსს" კობი ბრაიანტი ჰყავს, „დეტროიტს" კი მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა რიჩარდ ჰამილტონი აღმოუჩინა, ვისი შრომაც ყოველ თამაშში ოც ქულაზე მეტად ფასობს. პირად დავაში უპირატესობა, ცხადია, ბრაიანტის მხარესაა, მაგრამ კალათბურთი ხომ გუნდური თამაშია.

ერთი სიტყვით, ფინალისტებს ვარსკვლავები არ აკლიათ, მაგრამ მათ შორის ერთი პრინციპული სხვაობაა — „ლეიკერსის" ლიდერები ათას ფინალზე არიან გადამხტარნი, ასე რომ, ძვირფასი გამოცდილება მათ მხარესაა.

მწვრთნელებზეც ვთქვათ: ფილ ჯექსონი ცხრაგზის ჩემპიონია და, სხვათა შორის, მე-8 ტიტული სწორედ ახლანდელი ოპონენტის ლარი ბრაუნის „ფილადელფიის" ძლევით მოუპოვებია. ეს ამბავი 2001 წელს მოხდა. ლარი ბრაუნს ახლა ცოტა უკეთესი გუნდი ჰყავს.



მწვრთნელი: ფილ ჯექსონი

ჰოკეი

## პლეი ოფი. ფინალი

3 ივნისი

**ტამპა 2:3 კალგარი**

**ტამპა 2:3 კალგარი**

*1:1 0:1 1:0 0:1*

0:1 ჟელინა (3), 1:1 სან ლუი (20), 1:2 იგინლა (36), 2:2 მოდინი (41), 2:3 საპრიკინი (75)

ტამპა: ხაბიბულინი; ბოილი-პრატი, კუბინა-სიდორი, სალიმორი-სარიჩი; რუა-ლეკავალიე-ფედოტენკო, სან ლუი-რიჩარდსი-მოდინი, ტეილორი-ანდრეიჩუკი-აფანასენკოვი, კლაიმერი-ციბაკი-დინგმანი

კალგარი: კიპრუსოფი; რეჯე-ჟორინერი, ფერენსი-ლეოპოლდი, ლუდმანი-მონტადორი; იგინლა-კონროი-საიმონი, დონოვანი-ნილსონი-ჟელინა, საპრიკინი-იელი-კლარკი, ლოური-კობასიუ-ოლივა



ჯერომ იგინლას დარტყმულს ოლეგ საპრიკინმა დაამატა და...

## იგინლა კანადის ჰიმნს იმსახურებს

„კალგარიმ" სტენლის თასი რომც ვერ მოიგოს, მისი ლიდერი ჯერომ იგინლა პლეი ოფის უძვირფასესის ტიტულს მაინც იმსახურებს. რა თქმა უნდა, „ალების" ესოდენ მოულოდნელი აალების სხვა მიზეზებიც არსებობს, მაგრამ მთავარი მაინც იგინლას შთამაგონებელი თამაშია. განსაკუთრებით წაგებული მატჩის შემდეგ გამოიჩენს ხოლმე თავს. ის, რომ „ალებს" წაგების შემდეგ ცხვირჩამოშვებულებს ვერ ნახავთ, ეს კაპიტნის დამსახურებაა. აქამდე „კალგარიმ" 9 საპლეიოფო თამაში წააგო, მომდევნო ცხრაში კი იგინლამ 9 გოლი(!) და 4 პასი მიითვალა.

გამონაკლისი არც ფინალური სერიის მეხუთე თამაში გახლდათ — იგინლამ გოლით და პასით შეიტანა გამარჯვებაში წვლილი. თან ეს ისეთი პასი გამოდგა, გოლზე მეტად რომ ფასობს, რაკი ოვერტაიმში მოხდა. იგინლამ ძალიან დიდი დრო გაატარა ყინულზე და წესით, დაქანცული უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი მსწრაფლ ჩაერთო პარტნიორების წამოწყებულ იერიშში და მისი უძლიერესი დარტყმა ტამპელთა მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინმა კი მოიგერია, მაგრამ მისგან ასხლეტილ შაიბას ყველაზე სწრაფად ოლეგ საპრიკინმა მოუსწრო და თანამემამულე გოლკიპერს ფეხებს შუა გაუძვრინა.

„ჯერომმა ბრწყინვალედ ითამაშა, პრაქტიკულად ყველაფერი მან გააკეთა. კარის სიახლოვეს დამინახა და სწორედ ისე დაარტყა, რომ მეკარისთვის შაიბის დაჭერა შეუძლებელი ყოფილიყო" — თქვა მოგვიანებით საპრიკინმა.

„ყოველთვის უნდა ეცადო, აზარტი, ჟინი და ბრაზი გამოიჩინო, მაგრამ ეს განსაკუთრებით მაშინაა საჭირო, როცა თითქოს შანსი ხელიდან გეცლება" — ეს იგინლას სიტყვებია და რაც ზემოთ ითქვა, იმას კიდევ ერთხელაც ადასტურებს.

ცხადია, ოვერტაიმი ლატარიაა, რომელშიც ორივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს, მაგრამ „კალგარიმ" მთელი მატჩი ისე ჩაატარა, რომ ნამდვილად იმსახურებდა მოგებას. ორი პერიოდის განმავლობაში თამაში სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა. როდესაც მარტენ სან ლუიმ გაათანაბრა და ყველა რომ თამაშის შეტრიალებას ელოდა, მაშინაც არ გაუშვეს „ალებმა" ხელიდან უპირატესობა და მეორე მონაკვეთი კიდევ უფრო აგრესიულად ჩაატარეს — დარტყმებით 14-3 აჯობეს მეტოქეებს და რომ არა ხაბიბულინი, მაშინვე გადაწყდებოდა ყველაფერი. მხოლოდ იგინლას დარტყმას ვერ გაუმკლავდა რუსი მეკარე.

მხოლოდ მესამე პერიოდში გამოიყურებოდა „ტამპა" მეტოქეზე უკეთ. ფრედრიკ მოდინმა დასაწყისშივე გამოიყენა რიცხვმრავლობა, მაგრამ განგებამ განსაჯა სწორად — რაკი „ელვები" მოგების ღირსნი არ იყვნენ, მატჩი ოვერტაიმში გადავიდა, იქ რაც მოხდა კი, უკვე იცით.

...„კალგარიმ" მეხუთე მატჩი ოთხივე სერიაში მოიგო. წინა სამი სერია „ალების" გამარჯვებით დასრულდა. იქნებ ამ მატჩის შედეგი იმაზეც მიანიშნებს, რომ სულ მალე ყინულზე თასს შემოიტანენ და კანადური ჰიმნიც აჟღერდება...

**სამველ ლარიბიანი**

# სუმოს ხალხი პეკინში

პეკინს სწვევია იაპონელ სუმოისტთა, სუმოს მსაჯთა, სუმოოსტატთა, დამრიგებლთა და სუმოსთან დაკავშირებულ სხვა ადამიანთა 111-კაციანი დელეგაცია. ფოტოზე მას ხედავთ, თუ როგორ ეწევა ბაგირს ჩინელ მოსწავლეებთან ერთად ცნობილი იაპონელი მესუმოე კიტადაიკი. ამბავი ერთ-ერთ პეკინურ სკოლაში ხდება.


REUTERS პეკინიდან


REUTERS ბერლინიდან

# ისევ ფორმაშია

ისევ ფორმაშია ბარაქიანი გერმანელი მოცურავე ფრანცისკა ვან ალმსიკი. ის მაშინ ჩაუფოტოებიათ, როცა რომ ბერლინში მიმდინარე ცურვის ჩემპიონატზე 50 მეტრზე ნაცურავები წყლიდან ამომხვართულა.




REUTERS სიდნეიდან

# ცეცხლი სიდნეიში

სიდნეიში ჩასულა საათენო ოლიმპიური ცეცხლი. იქიდან დაიწყება მისი 35-დღიანი მოგზაურობა, რომლის დროსაც მან 27 ქვეყანა და 34 ქალაქი უნდა მოიაროს. სიდნეიში კი მას დახვედრიან სიდნეისავე ოლიმპიურ თამაშთა ჩემპიონი 400 მეტრზე რბენაში, ავსტრალიელი კატი ფრიმენი, მისი თვისტომი, სამთომოთხილამურე ზალი სტეგალი (ზღვის ფონზე) და აბორიგენ მოცეკვავეთა ანსამბლი.


REUTERS ბელო ორიზონტედან

# გადაუღო

ბრაზილიაში სტუმრად მყოფმა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ რიო დე ჟანეიროდან 100 კილომეტრით დაშორებულ ალაგ ტერესოპოლისში საფეხბურთო სკოლის აშენებას გეგმავს. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების თავკაცი კარლოს ალბერტო პარეირა მას სწორედ ამ მომენტში აფიქსირებს.


REUTERS სიდნეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge